

კარგი ზამთარი  
ახლა ჩვენ!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# საქართველო

თბილისი  
№ 1 1985





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№1 (577) იანვარი, 1985

ეურნალი გამოდის 1928 წლიდან  
ყოველთვიური საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიბერალური-  
სამხატვრო ჟურნალი

საქართველოს კავშირის გამოცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

ნოდარ გურაშვილის, თეიმურაზ ჯანგულა-  
შვილის, რაულ ჩილაჩავას, სალბის გურბაძე-  
ვის, გიორგი გიგაურისა და რამაზ ვიკუას  
ლექსები.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი — ნინო (მო-  
თხრობა)

გიორგი კაკუაშვილი — დიდი გენახი  
(მოთხრობა)

ფურაბ ნაყოფია — გულიწმინდის გავრე-  
ლავი (ნარკვევი)


ქიმიკიდან პრაქტიკისაკენ — ფოტოგოტო-  
რობა

საბუღისხმო, სახალისო, კროსკოტრი  
იუმორი...

**მთავარი რედაქტორი**  
**სუბა გარულავა**

**სარედაქციო კოლეგია:**

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ გვიტაძე,  
ნათელა გიორგოზიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ-  
რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი,  
სერგო დუშინიძე, ვახტანგ ესვანჯია, ოთარ  
თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),  
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ  
ფოფხაძე, გიორგი ჩაჩავანი, უჩა ჯაფარიძე.



**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

**ნოდარ გურაშვილი**

**ლენინის ძაგლი თბილისში**

განა ქვა არის ცივი და მუნჯი,  
მისებრ ღიმილი ქვეყნად ვინ იცის,  
მამულს გვიქარგავს სიცოცხლის ფუნჯით  
მარად მაღალი ძეგლი ილიჩის.  
დიდი ძეგლის წინ მზე გულს გადაშლის,  
დილა ყვავილებს ვერცხლისფრად ნამავს  
და ილიმება თბილისქალაქში  
ყველა ქალაქის კეთილი მამა.

**სასხალწლო ნატვრა**

მოკლე არის გინდა ათი,  
გინდ თხუთმეტი გრძელი წელი,  
მაგრამ ცაო, უხიფათოდ  
გავვატარე ეს გზა ძნელი.

მწედ ჩნდი, მოვაშორეთ კარებს  
ჭირი ჭირზე უარესი,  
დალახვრე და შეაკავე  
ის სატანა და არესი.

აღიმართოს მტკიცე ხელი,  
დამთრგუნველი სიკვდილისა,  
და მომყვანად შენ შეგვქმენი  
იმ დღისა და იმ დილისა,

როცა ქვეყნად არ იქნება  
ნგრევისა და ომის შიში,  
ია მორცხვად გაიშლება,  
გაიღიმებს ბუჩქის ძირში.

არ დაგვჩნდეს გულს იარა,  
სიკეთისთვის გვქონდეს მოცლა,  
სამშვიდობოდ ჩაიაროს  
ქვეყნად ასწლეულმა ოცმა.

გასახარად მეგობართა  
ის, რაც ნატვრით მოვისურვე,  
ცაო, ხელი მომიმართე  
და კეთილად ამისრულე.

ნატვრა კიდევ მრჩება ერთი,  
მასაც ვიტყვი, აბა რა ვქნა,  
მომელოცოს ხალხო, თქვენთვის  
სულ ხალისი, სულ ბარაქა.

გულში დარდის არ გავლება,  
სულ შენება,  
სულ ქორწილი,  
სულ ძეობა, გამრავლება,  
სულ იყავით დალოცვილი.

...მოკლე არის გინდა ათი,  
გინდ თხუთმეტი გრძელი წელი,  
მაგრამ ცაო, უხიფათოდ  
გზის გავლა თუ შევიძელით,

არ დავფარავ, ვიტყვი მართალს,  
ნატვრამ ერთიც მომანდომა —  
მომელოცოს

ორი ათას  
პირველი წლის  
დღის  
დადგომა.

**ჰე, მამულო...**

ჰე, მამულო! წინაპართა  
ხსოვნაც შენს ცეცხლს დამაკვესებს...  
დედის ცრემლი იას რწყავდა,  
მამის ოფლი — ვაზის ფესვებს.  
გაპოხილო პაპის სისხლით,  
მისივე სუნთქვით ბელტგამთბარო,  
გამიდიდე უამი ცისკრის,  
მასვე შენი ბროლის წყარო.  
წამაფარე მუხის გრილო,  
დამწვი ცეცხლით წუთისოფლის,  
ვაზის ფესვით შეკერილო,  
ჩაკირული მეზვრის ოფლით.  
მშობლის ბაგით დაკოცნილო,  
ჭირხლშიც,  
ცვარშიც,  
ლხინშიც,  
ზარშიც,  
დაჩოქებულს შენს ტაძარში  
ბედმა შენზე მალოცვინოს!

**განთიადი ჯვარში**


ოთარ ზითანავას.

ეგრისული განთიადი ჯვარში  
შემოცურდა იისფერი ტივებით,  
ვეება მზე პაწაწინა ცვარში  
ბანაობს და შიშხინებენ სხივები.  
შენს მშვენიერ ჯვარში ვარ და,  
ვარ შინ!

შენი ვარ და შენიანად მიცან.  
არასოდეს არ დაგრჩები ვალში,  
კურთხეულო ეგრისულო მიწავ!  
გამაბრუნებს ყაყაჩოთა ფშვინვა,  
წვეთკამკამა ვარდისწყალი მნამავს,  
შენს მშვენიერ ჯვარში ვარ და,  
შინ ვარ,

სტრიქონს ველი ლამაზსა და თამამს.  
გამილია გაზაფხულის კარი,  
სწივი მზისა თაფლის წვეთად წვეთავს  
და ენგურის დიდ კაშხალზე მდგარი  
საქართველოს გათენებას ვხედავ.

საქართველოს  
პარლამენტის  
ინფორმაციის  
ბიბლიოთეკა



ვევენი ხაჩაძე



თამაზ გამყრელიძე



ალბერტ თავხელიძე

## დიდი აღიარება

როგორც ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა იციან, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა რიგებს ამშვენებდნენ დიდი ქართველი მეცნიერები, აკადემიკოსები ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, გიორგი ძოწენიძე, გიორგი წერეთელი და კონსტანტინე მარჯანიშვილი.

1979 და 1981 წლებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად არჩეულ აკადემიკოსთა შორის იყვნენ ჩვენი საამაყო თანამემამულენი — ფილოსოფოსი ჯერმენ გვიშიანი (მოსკოვი), ენერგეტიკოსი სამსონ ქუთათელაძე (ნოვოსიბირსკი), თეორიული და გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მანქანათმცოდნეობის სპეციალისტი ალექსანდრე ნადირაძე (მოსკოვი).

ახალი წლის წინა დღეებში ჩვენი საზოგადოებრიობა უსაზღვროდ გაახარა გამოჩენილი საბჭოთა ასტრონომის, დიდი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ევგენი ხაჩაძისა და საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის თამაზ გამყრელიძის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად არჩევამ.

ასევე სასიხარულოა, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩეულია ამავე აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი ალბერტ თავხელიძე.

იგი ინტენსიურად მუშაობს და ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარია ბირთვული ფიზიკის დარგში. ამაჟამად ა. თავხელიძე მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია მოსკოვში და საქმეს თბილისშიც წარმატებით უძღვება, როგორც უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-ხელმძღვანელი და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩეულია ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ მშვენიერაძე, რომელიც მოსკოვში მუშაობს.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია სულითა და გულთ ულოცავს სახელოვან მეცნიერებს ამ დიდ აღიარებას და უსურვებს ახალ გამარჯვებებს თავიანთ სამეცნიერო და საზოგადოებრივ სარბიელზე.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

### 1984 წლის პრემიის ლაურეატები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს მიიღონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის პრემიის — „ხუთწლეულის მტიანი“ — მინიჭების შესახებ. პრემიები მიენიჭათ:

#### ლიტერატურის დარგში

**ნოდარ გურგუშიძეს**, პოეტს — ბოლო ორი წლის ლექსებისათვის: „ოდა ჩემს რესპუბლიკას“, „ფიქრები ტელევიზორთან“, „დაბრუნება“, „სიცოცხლის ფესვი“, „სოფელი ბაცილიგო“ და სხვ.

**ნოდარ დუმბაძეს** (სიკვდილის შემდეგ) — ბოლო წლების მოთხრობებისათვის.

**თეიმურაზ ჯანგულაშვილს**, პოეტს — ბოლო წლების ლექსებისათვის, რომლებიც შევიდა წიგნში „იმედის ზვრები“.

#### მუსიკის დარგში

**სულხან ცინცაძეს**, კომპოზიტორს — მეათე სიმებიანი კვარტეტისათვის „ახალგაზრდული“.

#### გამოყენებითი ხელოვნების დარგში

**ჯივან ფაჩუაშვილს**, მხატვარს — ბოლო წლების სცენოგრაფიისათვის.

#### თეატრალური ხელოვნების დარგში

**ბადრი კობახიძეს**, დამდგმელ რეჟისორს, **ზინაიდა კვერენჩილაძეს**, **ედიშერ მაღალაშვილს**, მთავარი როლებს შემსრულებლებს — ა. ჩხაიძის პიესის — „სამიდან ექვსამდე“ — დადგმისათვის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ აკადემიურ თეატრში.

#### კინოსა და ტელევიზიის დარგში

**ლანა ლოლობერიძეს** — დამდგმელ რეჟისორს, **ზაირა არსენიშვილს** — სცენარისტს, **ნუგზარ ერქომაიშვილს** — დამდგმელ ოპერატორს, **თამარ სხირტლაძეს**, **დარეჯან ხარშილაძეს**, **გივი ფირცხალავას** — მთავარი როლების შემსრულებლებს — ფილმისათვის „დღეს ღამე უთენებია“.

#### არქიტექტურის დარგში

**ზაალ ისაკაძეს**, **მერაბ ყავლაშვილს**, **ვლადიმერ ქურთიშვილს**, **ალექსანდრე თოთიბაძეს**, **გიორგი ტყემალაძეს** — არქიტექტორებს, **გურამ ზამბახიძეს** — ინჟინერ-კონსტრუქტორს — ქალაქ თბილისის უნივერსიტეტის „ბაგვათა სამყაროს“ შენობის პროექტისათვის.

#### კულტურის დარგში

**მირონ ხერგიანს**, მწერალს — მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევებისათვის „დღეს ღამე უთენებია“.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1984 წლის პრემიის ლაურეატები



რაოდენ დიდი აზრია ჩაქსოვილი ჟურნალის ამ სახელწოდებაში! ჟურნალის დამაარსებელ-ნათლიებმა უთუოდ გაითვალისწინეს მისი როლი ქართული ლიტერატურის განვითარების გზაზე. იგი მანათობელი უნდა ყოფილიყო ჩვენი ქართული ლიტერატურული აზროვნებისა. დრომ, ამ ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან განვილიშა სამოცამ წელმა, ცხადლივ წარმოგვიჩინა რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის კულტურის აღმავლობის, ლიტერატურის განვითარების საქმეში ქართული მწერლობის ფლაგმანს — „მნათობს“.

იგი თავიდანვე იქცა მკითხველი საზოგადოების ერთ-ერთ საყვარელ ჟურნალად, რომლის ფურცლებზე იბეჭდებოდა და იბეჭდება ქართველი საბჭოთა მწერლების საუკეთესო ლექსები, პოემები, მო-

თხრობები, რომანები, პიესები, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები. ჟურნალის გვერდები არაერთხელ ყოფილა ცხარე დისკუსიების არენა. ლიტერატურთა კამათში, კრიტიკულ თუ პუბლიცისტურ წერილებში ვლინდებოდა ის სწორი გზა სოციალისტური რეალიზმისა, რომელიც საფუძველთა საფუძველი გახდა საბჭოთა მწერლობის აღორძინებისა და მისი განმტკიცებისა.

„მნათობი“ იყო და არის მწერლების საუკეთესო აღმზრდელი. ყველა მოკალმე ბედნიერებად თვლის, თავის ნაწარმოები იხილოს სწორედ მის ფურცლებზე. ჟურნალს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ჩვენი სახელოვანი მწერლები, მის სარედაქციო აპარატსა და კოლეგიაში ყოველთვის იყვნენ გამოჩენილი პოეტები, პროზაიკოსები, კრიტიკოსები, პუბ-

ლიცისტები. მის ავტორთა შტოვს ასევე ნიჭიერ მწერალთა პლეადა შეადგენდა.

ტრადიცია გრძელდება, ნაამაგარი ჟურნალის ყოველ ნომერს დიდი მოუთმენლობით ელიან მკითხველები. ეს კი მის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს.

სამოცი წლის „მნათობი“ შეიდასზე მეტ ტომს შეიცავს. ეს მთელი საუნჯეა. ამ საუნჯით ვამაყობთ ჩვენ და ამიტომბა, რომ ასე გვახარებს ჩვენი საყვარელი ჟურნალის საიუბილეო თარიღი.

წინ მისი დაუბეჭდავი ტომებია. წინ მწერლობის განვითარების დიდი გზებია, გზები, რომლებიც უთუოდ გადაივლიან „მნათობის“ ფურცლებზე.

კვლავაც სიმტკიცე და შემატება ვუსურვოთ ქართული მწერლობის გზის წარმმართველსა და მის ერთგულ მსახურს.

### „საბჭოთა მედიცინა“

ჟურნალ „საბჭოთა მედიცინას“ სამოცი წელი შეუსრულდა. ახლა, როცა თვალს ვავლებთ ამ დროის განმავლობაში ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს, თვალნათლივ ვხედავთ იმ დიდ ამავს, რაც მან სახალხო ჯანმრთელობის განხორციელებასა და აღმავლობას დასდო.

„საბჭოთა მედიცინამ“, რომლის ფურცლებზედაც გამოჩენილ მედიკოსებთან, ჯანმრთელობის დაცვის ფრონტის წამყვან სპეციალისტებთან ერთად, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკების საგულისხმო წერილები, რჩევა-დარიგებანი იბეჭდებოდა, დიდად შეუწყო ხელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესებას, ამ მიმართებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას.

„საბჭოთა მედიცინა“ ყოველთვის იყო კეთილი მრჩეველი არა მარტო ამ დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ ყველასათვის, ვისთვისაც ადამიანის ჯანმრთელობა, მისი კეთილგანწყობილება უპირველეს საგანს შეადგენს.

დღეს, როცა ჩვენი სამშობლოს ჯანმრთელობის სამსახური უფრო მაღალ და მნიშვნელოვან საფეხურზე ადის, მეტი მოთხოვნილება ესახება ჟურნალის ნიჭიერ კოლექტივს. ვიმედოვნებთ, რომ ამ საფეხურზეც იგი წარმატებით გადაწყვეტს მისდამი დაკისრებულ ამოცანებს.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად მიესალმება ჟურნალ „საბჭოთა მედიცინას“ მისი დაარსების სამოცი წლის თავზე და უსურვებს შემდგომ წარმატებებს იმ მუშაკებთან ერთად, რომლებიც დღენიადაგ დგანან ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

### „ნორჩი ლენინელი“

ახლანან ჩვენმა ნორჩმა თაობამ ზეიმით აღნიშნა თავისი გაზეთის „ბაბუა“ „ნორჩი ლენინელის“ სამოცი წლის თავი.

სამოცი წელი ვავიდა მისი დაბადებიდან, მისი პირველი ნომრის გამოსვლიდან. იგი ნორჩი ლენინელების — ოქტომბრელებისა და პიონერების გზის მანათობელ ლამპარად იქცა. „ნორჩი ლენინელის“ ბევრი აღზრდილი, ბევრი მისი მკითხველი და თავყვანისმცემელი, ახლა ბაბუა და ბებიაა, მაგრამ მათ არასოდეს ავიწყდებათ თავიანთი პირველი გაზეთი, გაზეთი, რომელიც ნორჩთა ცხოვრების შემატინა.

თვალს თუ გადაავლებთ მის ათასობით ფურცელს, თვალწინ წარმოგიდგებათ საბჭოთა ქვეყნის პირველი მერცხლების, პირველი ოქტომბრელებისა და პიონერების რომანტიკული ცხოვრება. საფუძველი ეყრებოდა საბჭოურ ყოფას, კოლექტივიზაციასა და ინდუსტრიალიზაციას. მოზარდებს მოზრდილებთან ერთად ვარკვეული წვლილი შეჰქონდათ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის, მისი ძლიერების განმტკიცების საქმეში. არაერთმა პიონერმა და ოქტომბრელმა ისახელა თავი. ეს ყველაფერი თავის დროზე აისახა „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე.

უმაგალითო იყო საბჭოთა ბავშვების, მოზარდების შემართება დიდი სამამულო ომის წლებში. ისინი ასაკით უფროს ადამიანებს ტოლს არ უდებდნენ, შრომობდნენ და იბრძოდნენ საზიზღარ მტერზე გამარჯვებისათვის. გვასსოვს მათი შემართებანი. ვინც იმ წლებს არ მოსწრებია, ის ამბებიც შეუძლიათ ამოიკითხონ მოცულობით ამ პატარა, მაგრამ დიდი მოვლენების დამტევ გაზეთში.

ახლა ომის შემდგომი ამბები! დღევანდელი თაობის სასწავლო და შრომითი ყოფა!

ამ გაზეთს განსაკუთრებული მიზიდულობა აქვს, ალბათ იმიტომ, რომ იგი ეკუთვნით მწერლისა და ჟურნალისტისათვის ყველაზე უანგარო, ყველაზე დამფასებელ, ყველაზე პირუთვნელ და მგრძობიარე მკითხველებს — ბავშვებს.

„ნორჩი ლენინელს“ უამრავი მკითხველი ჰყავს. მართალია, იგი მოზარდ თაო-

ბას ეკუთვნის, მისი უშუალო მზრუნველი დამრიგებელია, მაგრამ უფროსი თაობის ადამიანებიც დიდი ინტერესითა და ვატაცებით კითხულობენ. ეს კი გაზეთის, მის შემქმნელ ავტორთა, სარედაქციო აპარატის მუშაკთა გამარჯვების საწინდარია. ეს იმას ნიშნავს, თუ რა მაგიური ძალა აქვს მის ყოველ მასალას.

რთულია საყმაწვილო გაზეთის შექმნა, გაზეთისა, რომელსაც სათავეში უდგას ამ საქმის ბრწყინვალე მცოდნე, გამოცდილი ჟურნალისტი, ბავშვთა ცხოვრებაში ღრმად-ჩახედული ვანო ცერცვაძე. თითქმის თანატოლები არიან ის და გაზეთი, რომელსაც იგი რედაქტორობს. არა, ერთმანეთს არ შებურებიან, რადგან სიბერე არც გაზეთს დასტყობია და არც მის რედაქტორს. მასთან ერთად რედაქციის მუშაკები დიდი ტაქტით, რუდუნებით ეხებიან ყმაწვილის ნორჩი გულის სიმუხს, რომ სამუდამოდ დაამახსოვრონ და ჩაუნერგონ კაცთა სიყვარულის მოძღვრება, სამშობლოსათვის, პარტიისათვის თავდადება, სიკეთე და სათნოება.

გაზეთის უპირველესი ღირსება მის სიმართლეშია, გულწრფელობასა და მასალის ხალისიან ფერებში. მის ფურცლებზე, ამ მცირე ფართობის დიდ სკოლაში, იბრუნებიან ნორჩი კორჩინდენტები, მომავალი მწერლები და ჟურნალისტები, გაზეთის მომავალი მესვეურები.

დიდად სახიზარულოა, რომ ამიერიდან „ნორჩი ლენინელი“ კვირაში ორჯერ გამოვა. ამასთან, დაისტამბება რუსულადაც. ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენენ ჩვენი პარტია და მთავრობა ნორჩი თაობისადმი.

ჩვენ, ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია, მისი რედაქციის ყველა მუშაკი, მრავალათასიან მკითხველთან ერთად, გულითადად აღვნიშნავთ ჩვენი პირველი მასწავლებლის, პირველი სიხარულის მომნიჭებლის, მარად უბერებელი გაზეთის, მარად ნორჩი — „ნორჩი ლენინელის“ სამოცი წლის თავს და ყოველივე სიკეთეს ვუსურვებთ ყმაწვილების მჩქეფარე ცხოვრების შემატინებს.

# ნილო



## ვლადიმერ ასლანაშვილი

პატარა ქალაქის ავტოსადგურის წინ ყოველ დილას პირველად უკანა მხრის სოფლებიდან წამოსული ავტობუსი ჩერდება. ჯერ შვიდი საათიც არ არის. ბაზარი სადგურთან ახლოა და ავტობუსის მეტწილად ნაირ-ნაირი პროდუქტით დატვირთული გამყიდველი ქალები მოჰყავს. კაცებსაც შეხვდებით, ოღონდ თითო-ორიოლას. მძღოლი გახსნის ავტობუსის წინა კარს და მგზავრებს აუტყდებით ალიაქოთი. თითო-თითოდ, ფაცა-ფუქოთი ჩამოლაგებიან ძირს, ჩამოაწყობენ თავიანთ ტვირთს, დაიხურებიან შოთი პურით გატენილი ტომრებით, პამიდორით, ქლიავით, კვერცხით, ატმით სავსე ვედროებითა და კალათებით, რძითა და მაწვნით, ახლადგამობილი ზეთით სავსე ჭურჭლით, ფერად-ფერადი ფენებგაქრული, აკრიახებული ქათმებით და შაზრი-საკენ მიიჩქარებიან, ერთმანეთს ასწრებენ, რომ მაგიდებთან მოხერხებული ადგილი დაიკავონ.

ავტოსადგურთან, მოედანზე მარტო მტკრიანი ავტობუსი და იქვე, მის ახლოს შავებში ჩაცმული მალალი, სიბერისაგან ოდნავ მხრებში მოხრილი, გამხდარი დედაკაცი რჩება. ის ავტობუსიდან ყოველთვის ბოლოს ჩამოდის. მანამდე ზის სკამზე მიკუჭული, მდუმარე და, როცა სხვები ძირს ჩაიკრიბებიან, მხოლოდ მაშინ ადგება ფეხზე. წინასწარ გამზადებულ ოცდახუთ კაბიკს მძღოლს მუქაში ჩაუყრის. აიღებს ტყვია-საკით მძიმე ბრეზენტის ორ ჩანთას, ერთს ყვითელს, მეორეს შავს და ფრთხილად ადგამს ფეხს ავტობუსის ღრმა კიბეზე, რომელზეც მოხუცებული სთვის ჩასვლაც ძნელია და ამოსვლაც.

ამ მოხუც ქალს ნინოს ეძახიან, ნუკრიანელია. იქ დაბადებული და დაბერებული. ოთხმოცს ორიოდე წელიდა უკლია, მას სხვები ბაზარში არ მიიჩქარება. ჩანთებში სავსე ქილა-ბოთლები უწყვია. სიღნაღში ერთი ქუჩა აქვს ამოჩემებული და იქ ჰყიდის. იმ ქუჩის მცხოვრებლები, დიდი და პატარა, ყველა კარგად იცნობს

ნინო ძალოს. იმისთანა რძე-მწონი მოაქვს, ხელიდან სტაცებენ.

ჩამოვა ნინო ძალო ავტობუსიდან, ჩანთებს ძირს დააწყობს, თვითონ შუაში ჩადგება. ჯერ წინ გაწვილი, გამხდარ მკლავებზე დაიხედავს, კაბის სახელოებს შეათვალიერებს, რადგან ავტობუსში მუდამ ხალხის ჯგლეტთაა და ხომ არ დაემტკვებაო. არაფერიც რომ არ ჰქონდეს, მაინც ხელებს ერთმანეთზე ჩამოსიკვამს და მერე კაბის კალთას ჩამოიფრთხავს. ახლა მზით გადახუნებულ შავ მოსახვევს შეისხნის. მხოლოდ ერთ წამს შეგიძლია შეავლო თვალი სპეტაკ თოვლივით გათეთრებულ მის თმებს. შეისხნის მოსახვევს და შეისწორებს. ოდნავ, ისე, რომ შუბლი დაემალოს, წინ წამოსწევს, საფეთქლებთან შეიკეკავს, ყვრიმალეებსა და მოსახვევის ნაკვეცებშია თითებს ქვევით ჩამოაყვლებს და ბოლოებს ნიკაბთან გამონასკვავს. კარგად რომ დარწმუნდება, სხვის თვალში მოსახვედრი, საჩოთირო არაფერი ჰქონს, აიღებს ხელში ორ-ორ, ტყვიასავით მძიმე ჩანთას. მარჯვენაში უთუოდ ყვითელ ჩანთას დაიჭერს, მარცხენაში შავს. მათი სიმძიმე უფრო ხრის წელში და ასე წინ წახრილი მოედანს გადაივლის, რომლის ერთ მხარეს სწორედ მისი მომლოდინე ქუჩა იწყება.

მაწონს წინა დღეს სადამოთი მონაწველი რძით ადევდეს. ყვითელ ჩანთაში რომ ჩაიხედოთ, ნახავთ კაბრონის სახურავით მაგრად თავდაცობილ ნახევარლიტრიან მინის ჭილებს, ჯერაც რომ არ განელებიათ სითბო. შავ ჩანთაში დილაბნელზე მონაწველი რძით სავსე ბოთლებია. ისიც თბილია, ძროხის ცურის სურნელგამოყოლილი. ბოთლი რომ გადააყირო, რძე არ დაიღვრება, ყელში ნალები ისე აქვს შედგობილი.

მისმა „ლამაზამ“ და „მაყვალომ“ კარგი რძე იციან, მსუქანი და ლალიანი. ორივეს თვითონ უკლის. სალამო ხანს დროზე თუ არ მოაბლაკვს ჰიშკარს, მოსვენება ეკარგება. დგას ეზოში და თვალები იმ

მხარეს აწყდება, საიდანაც სოფლის ნახირი უნდა გამოჩნდეს. გამოჩნდება და გულოც გაიხარებს, რკინის კარი ფართოდ იღება.

— მოდით, ლამაზებო, ოქროებო, მოდით, — ამ სიტყვებით შეიგებება ძროხებს ნინო ძალო. ისინიც ჩუმი ზმუილით შემოირწვივიან ეზოში, პატრონს მიეახლებიან, სველ, მჭმინავ დარუნებს დამჭმარ ძუძუმკერდზე მიაღებენ. პატრონი ერთ ხელს „ლამაზას“ ამოსდებს ყბებს შუა, მეორე ხელს — „მაყვალოს“. სიყვარულით მიუსვ-მოუსვამს, მერე ყურისძირებს მოფხანს, თან ორივეს მოფერებით ემუსაიფება.

ერთხელ რძალმა ჰკითხა ნინო ძალოს: დედი, რას ეუბნები ემაგ ფურებსო? — რასა და გლოცავ, შვილო, ღმერთმა ჯანი მისცეთ. სხვა რა უნდა ვუთხრაო.

მათი ფერებთა და ალერსით რომ გაძლება, ისინიც რომ მოისურვილებენ პატრონს, ნინო ძალო სათითაოდ წინასწარ გამზადებულ, წყლით სავსე ვედროებს დაუდგამს. ძროხები ხარბად წრუპავენ კამკამა წყალს, მოსკამენ, მოსკამენ და სულის მოსათქმელად თავს მალა ასწვივენ. ყურებდაცქვეტილები, დიდრონი, კრიალა თვალებით ნინო ძალოს შეხედავენ. პირიდან ამ დროს წურწურით წყალი ჩამოსდით და ვედროებში ჩაედინება. ისევ დაეწაფებიან, მთლად ამოხვრებენ. იქნებ არ ეყოთო, ნინო ძალოს წყლით სავსე მესამე ვედროც აქვს გამზადებული. წყურავილს რომ მოიკლავინ, დაიზმუვლებენ და ყურებდაცქვეტილები გაირინდებიან. იმათ ზმუილს ეზოს ერთი კუთხიდან, სადაც ლარანებით შემოზღუდული ძროხის სადგომია, იმათი ალი-კვალი ორი ხბო ბღავილით გამოეხმაურება.

ფურები იქით გაიწვევენ, რძით გათქვირებული ცურები ლაჯებში აღარ ეტყვიათ, ცურები ნორჩ კიტრებით დაბერვით დამოწოლილი რძე დვრილებიდან ლამის შადრევნებად გადმოსკდეს.

ნინო ძალო არც ერთს უშ-

ვებს ხბორებისკენ, არც მეორეს. თოკით სათივის მუხის ბოძებს გამოაბამს. მოიტანს თბილი წყლით სავსე ვედროს და დაბალი ხის სკამს. ჯერ „ლამაზას“ ჩამოჰბანს ცურს და მოწველის, მერე — „მაყვალოს“. წველის დინჯად, ხელი-ხელ მიყოლებით, ჩამოუსვამს თითებს კერტებს და ვედროს ფსკერს ხმაურით ასკდება აქაფებული რძე.

წველის ძროხებს და ფიქრებიც ავსდება. ამ ბოლო დროს თავისი ყმაწვილქალობა ახსენდება. ალბათ, სიბერის ბრაღია და იმიტომ. ჩვიდმეტი წლისაც არ იყო, რომ გათხოვდა. იოსებიც ამ სოფლისა განლდათ. ტკბილი ოჯახი შექმნეს. ჯერ ტყუბი ბიჭი ეყოლა ნინოს — ანდრო და შაქრო, მერე — ცოტა გვიან, კიდევ მესამე — ისტა ბიჭი, გიორგი დაარქვა მამამისმა. ომი რომ დაიწყო, ტყუბები ოც-ოცი წლისანი იყვნენ. გიორგი თერთმეტისა იქნებოდა, მეტისა არა. ანდრო, შაქრო და იმათი მამა ფრონტზე წავიდნენ. ჯერ იოსების წერილები შეწყდა, მერე ტყუბები-სა. ამბავი მოვიდა, ქერხთან დაილუპნენო. მას შემდეგ შავები არ გაუხდია ნინოს. ერთხელ იყო, გიორგი რომ დაინიშნა, ქორწილის დღეს მოიხვია თავზე თეთრი მოსახვევი. ეგ იყო და ეგ. სულ თალხები აცვია. მიბრუნდება — ოხრაგს, მობრუნდება — ოხრაგს. იმათი დამკარგავი ან როგორ არის ცოცხალი. კიდევ კარგი, ღმერთს, იაცისათვის შრომა მოუგონია, თორემ, რა გააძლებინებდა ამ ქვეყანაზე.

წველის, წველის ძროხებს და, ვაი, შვილებო, ამოიგმი-ნებს. დალუბულ მეუღლეს მდურვით გაიხსენებს. ჩემზე ბედნიერი ხარ, რომ იმ ბიჭების სიკვდილისა ვერაფერი გაიგეო. როცა უნდ არავინ არის, ახდის დედისკენ, დაჯანგული თუნუქის სალტებით შეჭვილი სკიკერს. იქიდან ქმარ-შვილის ნაქონ შარვალ-ხალათს ამოიღებს. ცალ-ცალკე დააწყობს. ხან ერთს დასტირის, ხან მეორეს. სახეს შიგ მალავს, გაირინდება. ყნოსავს სასწაულად შე-



1984 წლის დეკემბერში თბილისში, მხატვართა სახლში, გაიხსნა თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების, ფერწერისა და გრაფიკის ცნობილი საბჭოთა ოსტატის ბორის მესერერის გამოფენა (იხილეთ ჟურნალი „დროშა“, № 12, 1984 წ.).

მხატვარი შემთხვევით როდია საქართველოს სტუმარი. იგი დიდი მეგობარია რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციისა, მან თავისი ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირა საქართველოს კულტურულ ცხოვრებას.

ბორის მესერერმა დაამთავრა მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტი. ხელოვნებაში თავის მასწავლებლად მას მიაჩნია აკვარელის ფერწერის შესანიშნავი ოსტატი ა. ფონვიზინი და თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების გამოჩენილი მხატვარი ა. ტიშლერი.

ბორის მესერერის მუშაობა ძირითადად თეატრთან არის დაკავშირებული. ეს გასაგებია: ცნობილი საბჭოთა ბალეტის ოსტატის ასაფა მესერერის შვილი, ჭეშმარიტი თეატრალური ტრადიციების ოჯახში გაიზარდა. მისი ცხოვრება განუწყურელია თეატრისაგან.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მხატვარი ყურადღებას იპყრობს - მოსკოვის თეატრ „სოკრემენნიკში“ ა. ვოლოდინის სპექტაკლების „უფროსი და“ და „დანიშვნის“, ე. როსტანის „სირანო დე ბერჟერაკის“ გაფორმებით. თეატრს იმ წლებში ხელმძღვანელობდა ოლეგ იფრემოვი.

## ბიუპარტს —

### აი ჭეშმარიტი გზა

ამ პერიოდთან მოყოლებული ბორის მესერერმა მრავალი სპექტაკლი გააფორმა მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და ხარკოვის, ბაქოსა და ერევნის, ნოვოსიბირსკისა და პეტროზავოდსკის დრამატულსა და მუსიკალურ თეატრებში. იგი მუშაობს დიდ საბჭოთა რეჟისორებთან — ვახტანგ ჭაბუკიანთან და ბორის პოკროვისკისთან, იური ზაჯალსკისთან და ანატოლი ეფროსოვთან, ვალენტინ კოლუჩიკოსთან და მარკ ზახაროვთან. მხატვარი ამასთან ერთად ნაყოფიერად მოღვაწეობს საზღვარგარეთ — მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თეატრებში.

1966 წლის დასაწყისიდან ბორის მესერერი ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრშია. მან მხატვრულად გააფორმა სპექტაკლები: ს. პროკოფიევის ბალეტი „ზოლუშკა“, რომელიც დადგა სსრკავშირის სახალხო არტისტმა, ბალეტმაისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, პ. ჩაიკოვსკის „რომეო და ჯულიეტა“, რიმსკი-კორსაკოვის „ესპანური კაპრიზიო“, ჰენდელის „პასკალია“

და ა. სოგეს „კომედიანტი“, დამდგმელი საქართველოს სახალხო არტისტი, ბალეტმაისტერი გულბათ დავითაშვილი, ბიზე-შჩედრინის „კარმენ-სუიტა“ ალექსანდრე პლისიეცკის დადგმით.

თბილისის გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ოსტატის ოცდახუთი წლის მუშაობის ერთგვარი ანგარიშია. გამოფენილია სპექტაკლების ესკიზები და მაკეტები, რომლებიც არაერთგზის იყო ექსპონირებული სხვადასხვა სამხატვრო გამოფენაზე, მონუმენტური მხატვრობა, გრაფიკა, ზეთისა და აკვარელის ფერწერა. მხატვრის ნათელი, კონტრასტული, ემოციური ნამუშევრები დამთვლიერებელთა ყურადღებას იპყრობენ თავიანთი მოულოდნელობით, ფერებით, კომპოზიციით, სამყაროს პოეტური გააზრებით. თავისი შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში მხატვარი დიდ ყურადღებას უთმობს ტექნიკურად რთულ სამუშაოს — ფერად ოფორტს.

თბილისში ბორის მესერერი თავის მეუღლესთან, ცნობილ საბჭოთა პოეტ ბელა ახმადუ-

ლინასა და ქალიშვილებთან — ანასა და ლიზასთან ერთად ჩამოვიდა. ამიტომაც განსაკუთრებული მღვლავრიდ გაიხსნა გამოფენის განხილვის ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი მარგველაშვილის სიტყვები:

— ბორის მესერერს თბილისთან აკავშირებს არა მარტომისი, როგორც თეატრალური მხატვრის ნამუშევრები, არამედ ურღვევი მეგობრობა და ათასობით უხილავი ძაფი, რომლებსაც მიყვარათ ჩვენი ქალაქის ნაქრძალ ქუჩაბანდებში და ადამიანთა გულებთან... მხატვარი ჩვენი ძმა და მეგობარია, იგი მუდამ მზად არის გაინაწილოს ჩვენი სიხარული და ჩვენი მწუხარებაც. ჩვენმა მშვენიერმა დამ, პოეტმა ბელა ახმადულინამ ასე მიმართა მას და მის ხელოვნებას:

მიუახლოვო თუ გინდა  
მიჯრით  
აკცობრიობას გონი და  
გრძნობა,  
ერთია ჩვეყნად ხერხი და  
ნიჭი —  
სიყვარული და აგულწრფელი  
გრძნობა.

და უკვე დიდი ხანია, რაც ბორის მესერერმა ეს ჭეშმარიტი გზა აირჩია. და ახლაც, როდესაც ჩვენ მივისალმებით ჩვენი ძვირფასი მეგობრის ნამუშევრების გამოფენას ფიროსმანისა და გალაკტიონის, გრიშაშვილისა და ლადო გუდიაშვილის, ტიციან ტაბიძისა და პალო იაშვილის, გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის ქალაქში, ჩვენ სულში კვლავ ეღერს ბრწყინვალე ბელას უმშვენიერესი სიტყვები:

რა კეთილია ის, გისაც  
უყვარს,  
რაზომ გამგები სილამაზისა!


**იური ანოსინი,**  
მწიგნობარი.

დაწერილია სპეციალურად შუანალ „დროშისათვის“.  
ლემის თარგმანი ეპოთენის  
გ. მარგველაშვილს.

ბორის მესერერი საგამოფენო  
დარბაზში მხანველთა შორის.







მეცადინეობის დროს: (მარცხნიდან): ბათუ ჭუმბურიძე, თინათინ გვირგვიანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ავთანდილ გიორგობიანი, მარინე რაზმაძე.

## როსა ფიქრობან, ექიბან...

საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტში

ოთხი წლის წინ საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე თბოტექნიკის კათედრასთან რამდენიმე ენთუზიასტი სტუდენტისაგან შეიქმნა პატარა სამეცნიერო წრე. მას სათავეში ჩაუდგა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ავთანდილ გიორგობიანი.

ყველაფერი სულ უბრალოდ დაიწყო. კუთხეც არ ჰქონდათ თავშესაკრებად, მაინც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი ხელმძღვანელიც და წრის წევრებიც. მათ გადაწყვიტეს, მეცნიერულად დაემუშავენ ბინათ საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ენერგეტიკული სათბობის ეკონომიას და პრაქტიკულ დახმარებას მოუტანდა წარმოებას. თითოეული ადგენდა ინდივიდუალურ სამუშაო გეგმას, იქნებ სათანადო ლიტერატურას. ტარდებოდა სემინარები. ერთი წლის შემდეგ მზად იყვნენ დამოუკიდებელი საქმიანობისათვის. „საქმთავარენერგოს“ ხელმძღვანელობა ინტერესით შეხვდა სტუდენტური წრის მიერ შეთავაზებულ საინტერესო წინადადებას. ახალგაზრდებმა თავიდანვე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს ენერგოსისტემის ისეთ ობიექტებთან, როგორცაა სამრეწველო-სარემონტო საწარმო და თბილისის თბოელექტროცენტრალი. მათ უშუალოდ ლაბორატორიებში, საწარმოო პროცესის დროს შეეძლოთ, ჩაეტარებინათ თავიანთი ექსპერიმენტები. და აი, პირველ წარმატებას, პირველ სიხარულს მეორე და მესამე მოჰყვა. მათი შექმნილი ორთქლგენერატორების სურების ზედპირის გამწმენდი მოწყობილობა დაინერგა თბილისის თბოელექტროსადგომში.

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიის მუზეუმში მოწყობილ სსრკ შექმნის 60 წლის-თავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა კონკრეტული თბომცველის წყობურის პროექტმა, სტუდენტთა ეს გამოგონებაც თბილისის „თბოელექტროცენტრალი“ დაიწერა. ამის შედეგად ყოველწლიურად სა-

მი ათასი ტონა პირობითი სათბობი იზრდება, რაც 102 ათასი მანეთის ეკონომიურ ეფექტს იძლევა. 300 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკონომიას მისცემს ქალაქს თბოელექტროსადგურებისთვის განკუთვნილი მარტივი კონსტრუქციის საცეცხლის ღანურგვა. პროექტმა გაიმარჯვა მოსკოვსა და მინსკში მოწყობილ სტუდენტთა ნამუშევრების საკავშირო კონკურსში. იგი ექსპონირებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. გამოფენის დიპლომი და ფულადი პრემიაც დაიმსახურა.

დაძაბულმა კვლევამ შედეგი გამოიღო. ამაზე მეტყველებს საკავშირო კონკურსზე მოპოვებული ორი მედალი, გამოგონებლობისა და რაციონალიზატორთა საკავშირო ორგანიზაციის სამი და საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ორი დიპლომი, ფულადი პრემია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი, ათამდე საავტორო მოწმობა, რამდენიმე გამოგონება, 18 რაციონალიზატორული წინადადება.

თანდათან ფართოვდება ენთუზიასტთა წრე. მათი შემოქმედებითი საქმიანობის სასიკეთო შედეგები ფართო ასპარეზზე გავიდა და გამოჩნდნენ დაინტერესებული ორგანიზაციები, რომლებმაც ითხოვეს დაწვრილებითი ინფორმაციები, მაგალითად, ქალაქ ჩელიაბინსკისა და ბელგოროდის მსხვილი ენერგეტიკული საწარმოები, ქალაქ ომუტინის მეტალურგიული ქარხანა, ლეპინის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლები... ეს გამოძახილი ალაფროვანებს სტუდენტურ სამეცნიერო წრის წევრებს და უფრო მეტს ავალებს.

წინ ახალი პერსპექტივები, ახალი პრობლემები. უეჭველია, ხვალინდელი დღე ახალგაზრდობას მეტ შემოქმედებით სისარულს მოუტანს. ასეა, როცა ფიქრობენ, ეძიებენ.

ვერა თოფურიცა

ცხრა მთას იქით გადაკარგვა  
ვულმა ბუვრჯერ დაინანა,  
ბაგეს ბუვრჯერ შევეინა  
საიმდლეო — „ვაი, ნანა!“

დაცვარული ბუდეებო,  
დამტვერილო შარავებო,  
ნუთუ, მართლა დამეკარგეთ,  
ნუთუ, მართლა არ არსებობთ?

ვის ჰქონია ქვეყნად ყოფა,  
იმედს მისადაგებული?!.  
ვერ იქნა და ვერ გავათბე  
სახლი მისად აგებული.

წუთისოფლის შევირდობა,  
დედა, მართლა რა ყოფილა,  
არც ლოდინი მაკმარა და  
არც სირბილი მამყოფინა.

მასთან დაწყებული დავა  
ვულმა ბუვრჯერ დაინანა,  
მაგრამ მაინც, მტრის ჯინაზე,  
არ წამოსცდა — „ვაი, ნანა!“

ვისთან მივალ, ვის მიველტვი,  
ვისკენ მიმაქანებს ქარი,  
რომელ ქარაფს შეემსხვრევა  
ჩემი ფიქრის მინაქარი.

მე არ ვიცი...  
მზრძანებული  
გიყია თუ ჭკვიანია,  
გაჩერება ადრეა და  
დაბრუნება გვიანია!

### სტუმარი

ჩემს ჭერქვეშაც არაერთხელ  
უთევია დამე თვისტომს.  
განძად დამრჩა მათი სიტყვის  
ალმასი და ამეთვისტო.

თუმც მოყვანსი შორს არიან,  
დაძახებას მაინც ველი —  
ზღურბლს მიღმიდან ჩვენებურად:  
„შინ თუ არის მაინძელი?“...

მივვარდები უცებ საკეტს,  
კარს გავუღებ უწა-უწა  
მას, ვინც ჩემი სინარული  
ერთი მოსმით გააღუნა.

სიტყვავ, სიტყვავ, მშობლიურო,  
ოქროს ფასად სად არ ფასობ!  
შენით სუნთქავს ჩემი სახლის  
სართული და სადარბაზო.

დაილოცოს სტუმრის ბაგე,  
კაი გამარჯობის მთქმელი,  
ჩუნი ღვთაებრივი ენა,  
უზადო და ძველისძველი.

ჩემს ბინაში ფარფატებენ  
ნატვრები და სურვილები,  
წლები დაუვიწყარი და  
სმები ოქროცურვილები.

კი არ მესმის, თითქოს ვხედავ,  
ყველა სიტყვას ბგერა-ბგერა.  
მათი სასწაული ძალის,  
მათი ჯადოქრობის მჯერა!

გიორგი ვაჟაშვილი

ტუკზე ნახსლავი ორწლიანი ვაზე-
ბი ჰიგოს აპულოდენენ, მტკავლით
ასცილებოდნენ და თავებს ისე იქ-
ნევდნენ, თითქოს ამბობდნენ, ცოტა
კიდევ გვაცალეთ და ნახვთ, როგო-
რი ვაჟკაცები დავდგებიო.

ლეღავდა ახალშენი. ლეღავდა იმი-
ტომ, რომ მისი ღეღავიდან საარა-
კოდ დახუნძლულიყო, თვითონ კი...

— გაჩერე მანქანა, ძირები უნდა
დავუკოცნო! — თქვა გიორგიმ.

— რაო? — ყურებს არ დაუჭერა
მძლოლმა.

— გამიჩერე-მეთქი ვაზებს ძირე-
ბი უნდა დავუკოცნო.

— მართლა დასაკოცნია, ეგ და-
ლოცვილი.

მერე ციხე გამოჩნდა. ყველანი გა-
ნცვიფრდნენ, რაკილა ათასწლეული
ომებით დაქცეული კედლების ნაცვ-
ლად სასწაულებრივ განახლებული
ციხე დაინახეს.

— აქ მაინც გაჩერე, დავათვალი-
ეროთ. ხედავ, როგორ განუახლები-
ათ?! — წამოიძახა გიორგიმ.

მძლოლმა მანქანა ციხის ძირთან
მიაყენა:

— სანამ თქვენ დაათვალიერებთ,
სოფელში ავალ, ნათესავთან, — ჩა-
ილაპარაკა შოფერიმა.

დავითს ფართოყვრიმადიანი სპი-
ლენძისფერი სახე გაუნათდა და ჩა-
მოფხატული წარბების ქვეშედან გა-
ხედა ციხეს.

— უყურე, სად მიმჯდარა ის მა-
მაგანათლებული, — ახლდა შენიშ-
ნა ციხის ბალავართან მიწოლილი ბე-
რიკაცი. — გამარჯობა!

— გამარჯობა! — დაუწვრილა ხმა
გიორგიმაც.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ! — წა-
მოიწია ბერიკაცი.

— მიკვირს, მოგიცლიათ აქ ამო-
სასვლელად? — გაუღიმა გიორგიმ,
როცა ბერიკაცს მიუახლოვდნენ.

— მოცლილი არა ვარ, შვილო, —
თავი გააქნია ბერიკაცმა, მერე ხელი
გაიშვირა და ამოიხვნეშა: — აგე, სა-
და წვანან, ვინც მოიცალა!

დავითმა და გიორგიმ გაშვერილი
ხელის მიმართულებით გაიხედეს და
გორაკზე შეფენილი სასაფლაო დაი-
ნახეს.

ბერიკაცს ხელი ჩამოართვეს. და-
ვითს უნდოდა, ხელი ხელზე მოეჭი-
რა, როგორც ეს ჩვევად ჰქონდა,
მაგრამ რაკი ხელის ნაცვლად კოფრი-
ანი კუნძი მოხვდა, მალევე გაუშვა და
ჩაილაპარაკა:

— ძალიან კი დაუმშვენებიათ ეს
ციხე!

— ვაცოცხლეს ამ დალოცვილე-
ბმა. შარშან რომ გენახათ, ყორელა
იყო. შეიღებისგან მოძულეებული ბე-
რიკაცივით იდგა, აქაოდა აღარ გვჭი-
რდებო.

— უმადურ შვილს საკუთარი თავ-
ის გარდა არავინ უნდა, მაგრამ ღი-
რსეული გვიღებოც ხომ არიან, შეე-
ხმანა გიორგი.

— რა თქმა უნდა! — დავითანხმა
ბერიკაცი. — ესე რომ არ იყოს, ამ
ციხის აღდგენა ვის გაახსენდებოდა.

— საქართველო ციხეებმა გადაარ-
ჩინეს და უმადურობა იქნება, ჩვენს

გადამრჩენელს, რომ არ ვუვლიდეთ,
— სიტყვა გააგრძელა დავითმა, რო-
ცა ციხიდან გამოვიდნენ და ბერი-
კაცს გადახედა: — ხომ ასეა, ძიაკა-
ცო?

ბერიკაცმა ცალი თვალით ახედა
დავითს.

— ციხეებმა კი არ გადაარჩინეს,
შვილო, კაცის მარჯვენამ გადაარ-
ჩინა ჩვენი ქვეყანა. უწინაც ესე ყო-
ფილა და ეხლაც ესე იქნება. მაგ
ციხეებში წინაპრის სისხლი და მარ-
ჯვენა, ამიტომ უნდა გავუფრთხი-
ლდეთ.

— მართალია! — დაემოწმნენ ორი-
ვენი.

— აბა, იმ ახალშენს გახედეთ, —
მოხუცმა ხელი გაიშვირა. — განა
შეგ მადლიანი კაცის ნაოფლარი არა
ჩანს?

— წელან მანქანიდან დავინახე, —
გახალისდა გიორგი, — ისე მომე-
წონა, მძლოლს ვუთხარი, გაჩერე,
ძირები უნდა დავუკოცნო-მეთქი.

ბერიკაცმა ახლა ორივე თვალი
მოჭუტა და ისე შეხედა გიორგის.

— თუ მართალს ამბობ, კაციც
შენა ყოფილხარ!.. ჩემი ვენახი უკვე
აბეჩხარია, ჩემსავით დაჩაჩანაკებუ-
ლი, მაგრამ ამოსაყრელად მაინც ვერ
ვიმეტებ. ბებერსაც მოვლა უნდა. ჰო-
და, მეც ვუვლი, რაც შემძლია,
ვფიქრობ, თუ სიკვდილია, ერთად
დავიხოცნეთ-მეთქი, არადა, იმ ახალ-
შენის ყურებან რა სჯობია. ბიჭებს
არა გვანან ეგ ვაზები? — გაიღიმა
გიორგიმ.

— ბიჭებსაცა ჰგვანან და გასათხო-
ვრად შედურებულ გოგოებსაც, —
ღიმილითვე მიუგო ბერიკაცმა.

— რაც კი ნაყოფის მომცემია,
აღბათ, ყველაფერი ქალსა ჰგავს, —
მიაგება დავითმა.

— კაი კაცები ხართ, შვილო მიხა-
რია თქვენი გაცნობა... მოდიოთ, სა-
ნამ ის თქვენი შოფერი გამოჩნდება,
ჩემს ვენახში ჩავიდეთ. აქვეა, დაბლა.

— ბებერ ვენახში? — უნებურად
იკითხა დავითმა.

— ციხეც ბებერია, მაგრამ აქი მო-
ხვედით სანახავად. მეც ბებერი ვარ
და მაინც მექართულებით. ბებერი
ვაწიცი დაინახეთ, რა შესძლებია.

ქვეთიკრის შეულესავი ქოხი იდ-
გა ვენახში. კარები არ ჰქონდა. ფან-
ჭრებდა პატარა სათვალთვალეები
დაეტანებინათ. შუაში მაგიდა იდგა,
გვერდით კი ტახტი.

— კარები რატომ არ აგებამთ? —
დაინტერესდა დავითი.

— კარი არ უნდა, ნიავეცა და კა-
ციც თავისუფლად უნდა შევიდეს და
გავიდეს. დაკეტილი შეიძლება ვილა-
ცამ გატეხოს.

ბერიკაცმა ტახტზე ორად მოკეცი-
ლი ნაბალი ხელით გადმობერტყა და,
დაბრძანდითო, სტუმრებს შესთავაზა.
მერე ქოხის კუთხეში აფუსფუსდა
და იკითხა:

— რა ხელობის ხალხი ხართ, შვი-
ლო?

— ეს ფოლკლორისტიკა, — თქვა
გიორგიმ.

— ეს ფოლკლორისტიკა არის და
მწერალიც, — გააცნო დავითმა.

— მწერალი ვიცი, მაგრამ ეგ მეო-
რე სიტყვა არ გამიგონია.



სისი
ვენახი

— ხალხური ზღაპრებისა და ლექ-
სების სპეციალისტი.

— ჰოლო, ეგ კაი საქმეა. — ბერი-
კაცმა თიხის ფილები შემოდგა მა-
გიდაზე.

— წვიმას აპირებს, — გარეთ გა-
იხედა გიორგიმ.

— ვენახს ჭერ წვიმა არ უნდა, —
ბერიკაცმა ძველებური ხელადა გა-
მოიღო ქოხის კუთხიდან, წინსაფრით
გაწმინდა, საცობი მოხადა და მეორე
კუთხისკენ წავიდა. მოსწორებული
მიწა გადასწია ხელით, რაკი ცოცხით
გადაგვა და ქოცოს სახურავი გამო-
აჩინა.

— უყურე, ქვევრიც აქა ჰქონია! —
გაიღიმა დავითმა.

— პატარა ქოცოა, შვილო. მომხვ-
ლელია, წამსვლელია, რა ვიცი მე, —
სველი ხელადა რომ მაგიდაზე შე-
მოღდა, მერე ყველი და პური ამოი-
ლო თვითნაკეთი კიდობნიდან.

— გულის ყველია! — შენიშნა და-
ვითმა.

— ათიოდე ცხვარი დამიდის და
იმით ამომყავს. აგე, სადა სძოვენ! —
გაიხედა ფერდობისკენ და გარეთ
გახუსხუსდა.

ბერიკაცი მალე შემობრუნდა. აკა-
ლთავებულ წინსაფარში კიტრი ეწყო
და ხელში მწვანილი ეჭირა — ტარ-
ხუნა და ოხრახუში.

— კიტრი რომ ვერ გავრეცხე, ბი-
ჭებო?..

— საკუთარ ბაღჩაში დაკრფილ
კიტრს გარეცხვა რად უნდა? — შე-
იცხადა გიორგიმ. — ჩემს ბავშვობაში
პურს ილღოში ამოვიჩრიდი ხოლმე
და ბაღჩაშივე ვჭამდი მწვანილსაცა
და კიტრსაც.

— სოფლელი ხომ არა ხარ, შვი-
ლო? — გაუხარდა ბერიკაცს.

— სოფლელი ვარ, მაშ ვინა ვარ.

— ყველა მწერალი და პროფესო-
რი სოფლელია, მაგრამ სოფლელო-
ბაზე თავს აღარა სდებენ, — გაი-
ღიმა დავითმა.

— ჩემი ჭკუის ხალხი ყოფილ-
ხართ, მე და ჩემმა ღმერთმა, — ბე-
რიკაცი კუნძზე ჩამოჯდა და კიტრე-
ბი შოთის გვერდით დაალაგა. —
ბერიკაცი მოიწამლა, შვილო, თორემ კი-
ტრისა და სასაშთროს გარეცხვა ვინ
გაიგონა.

ხელადისკენ ხელი წასწია, მაგრამ
დავითმა დაასწრო.

— კაი ბიჭები ხართ, მე და ჩემმა
ღმერთმა. მოდიოთ, აი, ამ ცახა და
მიწას გაუმარჯოს. მზისა და ვარსკვ-
ლავების სადღეგრძელო იყოს, ნია-
დაგ ეკაშკაშოთ ქვეყნიერების ცაზე!
დავითმა და გიორგიმ ჭერ გემო
გაუხინჯეს ღვინოს და მერე მიეწაფ-
ნენ ფილებს.

ღვინო კი არა, ღედის რძეა, —
თქვა დავითმა.

— მირონია, — დაამატა გიორგიმ. —
ცოტათი ზედაშეს გემო გაჭკ-



ეთარ ლონდარიძე,  
მუსიკათმცოდნე.

საბავშვო მუსიკა ჩვენში ისევე ძველია, როგორც მუსიკალური ხელოვნება. ამ უანრის პირველი ნიმუშები ჯერ კიდევ ფოლკლორში გვხვდება. ეროვნული საბავშვო მუსიკის პროფესიული ნიმუშები კი XIX საუკუნის მეორე ნახევარში იღებს თავის დასაბამს (მხედველობაში გვაქვს აპოლონ ძამსაშვილის საბავშვო სიმღერები). იმავე პერიოდში იქმნება მოზარდთათვის განკუთვნილი ქართულ ხალხურ სიმღერათა კრებულები (ზაქარია ჩხიკვაძის „სალამური“ და ა. შ.).

საბავშვო მუსიკის, როგორც დამოუკიდებელი მუსიკალური უანრის, ჩამოყალიბება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდს ემთხვევა. საბჭოთა ეპოქაში ფართოდება და მრავალმხრივი ხდება საბავშვო მუსიკის უანრული დიპაზონი. ამ დროს შეიქმნა დიდი ფორმის საბავშვო კომპოზიციებიც, რომელიც უცხო იყო კლასიკური პერიოდისათვის. კლასიკოსებმა თუმცა საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს საბავშვო მუსიკის დარგში, მაგრამ მათი ინტერესები ამ სფეროში არ გასცილებია კამერული მუსიკის ფარგლებს.

საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა ყველა მუსიკალური უანრი: ოპერა და ოპერეტა, ბალეტი, კანტატა-ორატორია, ინსტრუმენტული კონცერტი, გუნდები, ვოკალური ციკლები, პიონერული სიმღერები... და რაც მთავარია, მოხდა სპეციალიზაცია — გაჩნდნენ საბავშვო კომპოზიტორები, რომელთაც მხოლოდ საბავშვო მუსიკით შემოფარგლეს თავიანთი შემოქმედება. ესენი არიან: თამარ შავერზაშვილი, ალექსი ფარცხალაძე, მერი დავითაშვილი, ელენორა ექსანიშვილი, ლილი იაშვილი, დალი ჩხეიძე, მთათა ჯოჯუა...

ქართულ კომპოზიტორთა ნაწილმა კი თავის შემოქმედებაში საბავშვო მუსიკას დიდი ადგილი დაუთმო (შალვა თაქთაქიშვილი, ალექსანდრე ბუკია, ვალერიან ცაგარეიშვილი, სანდრო მირიანაშვილი, მერაბ ფარცხალაძე, ნოდარ გიგაური, გივი ციციშვილი, რა-

მაზ ქარუხნიშვილი, რამაზ კემულარია, ლილი შავერზაშვილი, გომარ სინარულიძე).

ქართულმა საბავშვო მუსიკამ, ისე, როგორც მუსიკამ უფროსებისათვის, თავისი განვითარების რთული პროცესი გაიარა — ყალიბდებოდა, იხვეწებოდა, მდიდრდებოდა. უანრის სპეციფიკამ წამოჭრა სირთულეები, წინააღმდეგობანი, პრობლემები...

დღეს ქართული საბავშვო მუსიკის რეზონანსი გასცილდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს, განმტკიცდა მისი შემოქმედებითი ავტორიტეტი. ქართველ კომპოზიტორთა მთელი რიგი საბავშვო ნაწარმოებები შევიდა საბჭოთა მუსიკალური კულტურის საგანძურში, ზოგიერთმა კი აღიარება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. აქ განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ანდრია ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტი და ალექსი მაჭავარიანის 12 საბავშვო-საფორტეპიანო პიესა, რომლებიც ჭეშმარიტად ამდიდრებენ და ამშვენებენ საბავშვო მუსიკის საგანძურს. ასევე მნიშვნელოვანი შენაძენია ეროვნული საბავშვო მუსიკისათვის რევაზ გაბიჩივაძის პიონერული სიმღერები, მერი დავითაშვილის ვოკალური ციკლები („დილა მშვიდობისა“, „სათამაშოების სიმღერები“), სულხან ცინცაძის საკვარტეტო მინიატურები, მისივე ჩელოს კონცერტინო, ოთარ თაქთაქიშვილის, ნიკოლოზ გუდიაშვილის, ალექსანდრე შავერზაშვილის, ნოდარ მამისაშვილის, ნოდარ გაბუნიას, სულხან ასიძის, ბიძინა კვერნაძის საფორტეპიანო ნაწარმოებები, რევაზ ლალიძის, ვალერიან ცაგარეიშვილის, შოთა მილორაძის, ირაკლი გეგაძისა და სხვათა სოლო თუ საანსამბლო, საგუნდო სიმღერები, ლილი იაშვილის ოპერეტა „ბაბაჯანას ქოშები“...

ქართულ საბავშვო მუსიკას განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვს საოპერო უანრში. მისი საუკეთესო ნიმუშები შექმნეს ა. ბუკიამ („დაუბატი-უბელი სტუმრები“), ვ. გოკიელმა („წითელქუდა“), მ. დავითაშვილმა („ქაჯანა“, „ნაცა-

რქექია“), თ. შავერზაშვილმა („იანანა“), ა. ანდრიაშვილმა („ჩხიკვა ქორწილი“)...

თანამედროვე ეტაპზე ქართულ საბავშვო მუსიკას დიდი მიღწევები გააჩნია. დღეს ჩვენს მოზარდებს აქვთ მათთვის განკუთვნილი მაღალმხატვრული პედაგოგიური დანიშნულებისა თუ გასართობი ხასიათის მუსიკალური ლიტერატურა. მაგრამ მიუხედავად არსებული წარმატებებისა, ქართული საბავშვო მუსიკის დარგში ჯერ კიდევ პრინციპული საკითხებია გადასატყუარი.

ქართული საბავშვო მუსიკა ფართო პროპაგანდის საგანი უნდა გახდეს, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს, როგორც საკონცერტო, ისე პედაგოგიურ რეპერტუარში. აქ თავისი სიტყვა კიდევ უფრო მეტი მრავალფეროვნებით შეუძლია თქვას რადიო-ტელევიზიამ, რომელსაც პროპაგანდის უდიდესი საშუალება გააჩნია.

მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის საბაზო საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს, აგრეთვე, საოპერო თეატრმა, მულმივმოქმედი საბავშვო ოპერებით.

ყურადღებას საჭიროებს ეროვნული საბავშვო ბალეტის საკითხიც. აგერ უკვე თითქმის სამი ათეული წელი გავიდა პირველი ქართული საბავშვო ბალეტის — ს. ცინცაძის „ცისფერი მთის საუნჯის“ დადგმიდან (1957 წ.), ახალი ბალეტი კი არ ჩანს.

საბავშვო მუსიკაში შეიმჩნევა თანამედროვეობის, დღევანდელი დღის ამსახველი მასალის ერთგვარი ნაკლებობა, რაც შეუწყნარებელია. უნდა შეიქმნას ისეთი მუსიკა, რომელიც მოამზადებს ბავშვს ცხოვრებისათვის, გაუადვილებს მას თანამედროვე მუსიკალური მეტყველების არსში წვდომას. ამ მხრივ ჩვენმა ნორჩმა პიანისტებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს ა. მაჭავარიანის „მუსიკალური სიყრმის“ და ა. ბალანჩივაძის „ყვავილების“ სახით.

სასურველია, კიდევ უფრო მეტი რაოდენობით შეიქმნას მოზარდთათვის განკუთვნილი ნაწარმოებები ეროვნული ფო-

ლკორის გამოყენებით. ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელი ბრძნული და ნათელი სახეობრიობის მქონე დღევანდელი მუსიკის დღევანდელი მუსიკის დარჩება ჩვენი კომპოზიტორების ერთ-ერთ სადღეისო ამოცანად.

მნიშვნელობა არ დაუკარგავს პოეტური და მუსიკალური ტექსტის ურთიერთობის პრობლემასაც. აქაც ისე, როგორც უფროსებისათვის განკუთვნილ ზოგიერთ სიმღერებში, ჯერ კიდევ ვხვდებით მოზარდის ბუნებისათვის შეუფერებელ ლექსებზე ზერელედ ნაგებ ვოკალურ კომპოზიციებს (სიმღერებს), ზოგ შემთხვევაში კი სრულებით არ არის ორგანული კავშირი პოეტურ სიტყვასა და მუსიკას შორის.

კიდევ უფრო მეტი ყურადღების ღირსია რეპერტუარის შერჩევის საკითხი. მოზარდებს უნდა მივაწოდოთ მხოლოდ დახვეწილი გემოვნებით შედგენილი პროგრამები (ეს ეხება როგორც საკონცერტო, ისე სასწავლო პროგრამებს), ჯანსაღი მუსიკალური საზრდო. გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს ქართულ ხალხურ სიმღერებს, აგრეთვე წლების წინათ შექმნილ (ე. წ. „ძველ“) საყმაწვილო ქმნილებების ოქროს ფონდში შესულ საბავშვო მუსიკალურ ნაწარმოებებს.

სასურველია, ეროვნული სასწავლო-სარეპერტუარო მუსიკალური ლიტერატურით ჩვენი მოსწავლეების ჯეროვანი მომარაგება. გეგმაზომიერად უნდა იბეჭდებოდეს ნოტები მცირე (კამერული ტიპის) საყმაწვილო ოპერებისა, აგრეთვე ქართული ხალხური საბავშვო სიმღერებისა და საბავშვო მუსიკის გარიჟრაჟზე შექმნილ სხვა უანრის საყურადღებო ნაწარმოებებისა. ეს ნათელს მოჰქვანს საბავშვო მუსიკის პირველ ნაბიჯებს ჩვენში, დაეხმარება საბავშვო მუსიკის მკვლევართ შემდგომ მუშაობაში, პედაგოგებს კი საშუალება მიეცემათ, მათგან საუკეთესონი შეიტანონ ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარში, გამოიყენონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სიმღერის გაკვეთილებზე...

ჩვენმა კომპოზიტორებმა კვლავაც უნდა იზრუნონ ეროვნული საბავშვო მუსიკის განვითარებისა და გამდიდრებისათვის. ამ საქმეში მთავარი სიტყვა ახალგაზრდებს ეკუთვნის.




ისე, როგორც გამხმარ ხეებს წვიმა ენუგეშებთ, ისე, როგორც შემოდგომა მზის ათინათს ელის, ჩემს დიდ გზაზე ზამთარ-ზაფხულ, მუდამ ხვალის შემდგომი მომავლის სიკეთისთვის გამიწვდია ხელი.

ის მართალი სიტყვა ცაში დაფრინავდა, როგორც ჩიტი, უმღეროდა, უგალობდა პატიოსან კაცს და, ვინც მის ჭიკჭიკს დაუჭერა, გზას დაადგა, გზას სიმართლის, ვინც არა და სიკეთის გზას აცდა.

რომ არ ჰქონდეს კაცს იმედი, მზის ხატს რწმენით არ ხედებოდეს, მას სიკვდილის მოლოდინი მოკლავს, მიტომ იბრძვის, მიტომ შრომობს, მიტომ აგებს სახლებს, სოფლებს, ხვალის რწმენით მოსავალი მოყავს.

თუნდ მილხინდეს, თუნდ მიჭირდეს, თუნდ მათოდეს, თუნდ მზე მწვავდეს, ცა ელვა-მებს მიგზავნიდეს თუნდაც, უნდა ქვეყნის მდინარეზე ხილი გავდო სიმართლისა და სიკეთის ვუღარაჯო მუდამ.



## სალის გურბუანი

### ხელეპი

ამქვეყნად თუმცა დიდია მადლი, მაინც არსებობს შხამი და გესლი, ნეტავი ვისმა ხელმა ახარა ერთად სიცოცხლე-სიკვდილის თესლი. არის ხელეები ისე კეთილი, ვით დედაჩემის თითები თლილი, ამღერებულნი აკვნის რწვევაში, შეთერებულნი ცომით და ფქვილით. მაგრამ მე ვიცი ჭალათის ხელიც, ჩემს კეთილ მამას ჩაუქრო მწერა, მკვლელის გზაწვრილზე ბაღბაც არ ხარობს, დღესაც, ვით წინათ, მე ისევ მჭერა, ბოროტის ხელეებს კეთილის ხელი დაადებს ბორკილს ადრე თუ გვიან, მე წინაბრები ამ რწმენით მზრდიდნენ, დღესაც პატარებს ამ რწმენით ზრდიან. რაც მამა-პაპით გაგვიგონია, იყო და არის ჩვენი სათქმელიც, ბოროტს ამარცხებს მუდამ კეთილი, მტყუანს — მართალი, წყვილია — ნათელი. ახალშობილს რომ ასწევს მზისაკენ მძღავრი, მართალი კაცის ხელეები, — აი ესაა სიმბოლო ჩვენი უკვდავების და ბედნიერების.

### მოდ, მენვი...

ვლადიმერ მასტაფომს

ვინ იცის, ძმაო, გულზე წვიმებმა რა ჭექა-გრგვინით გადაგვიარა! როგორ გვაშორებს დრო და მანძილი, ვედარ ვუშუშებთ ერთუროს იარას. ამ უღროობას რა ვუთხარ, თორემ, ისე დრო კია, მნახო და გნახო. გადაგიშალო სუფრა და გული, დაგალოცვინო ყანა და ახო. გაიბო ჩემი ქვეყნის ამბავი, მოგართვა ჩემი პური და ღვინო, უამი კვიცია გაუხუნენავი, ასე ფრხლადფხვს სანამდე ვდიოთ. შენც კარგად იცი, ჩემს ბაღყარეთში, თუ როგორ გვიყვარს სტუმარი ყველას. ახლა მოსკოვში ჩაის სვამ, პლბათ, გარეთ კი ქუჩა ზღვასავით ღელავს. და ხალხი ჩქარობს, დრო ჩქარობს, რადგან ყველაფერს თავის აქვს დრო და უამი, მწესა და მთვარეს, ჩიტს და პეპელას, ქვასა და მიწას, ბალახს და ყვავილს. ამქვეყნად ერთი მაქვს საფიცარი, მე მეგობრობა ვიწამე ღმერთად, რადგან ყოველჯამს ერთუროზე ვფიქრობთ, ეს იმას ნიშნავს, მუდამ ვართ ერთად.

### ჩემი სარკეა უღრუბლო ზეცა

ეს მე ვარ მიწა — თქვენი მშობელი და გულზე მაწევს ხეები, მთები, ჩემი სარკეა უღრუბლო ზეცა, ით მაქვს სავსე ბალახის თმები.

გესმით, კვენსიან ჩემი ჭალები, რა დაგიმალოთ, მეც ძლიერ მიჭირს, ადამიანო, ნუ ხარ გულგრილი, გქონდეს დანახვის და ნდობის ნიჭი.

ბალყარელი გვირავი სალის გურბუანი 14 კომპლუნი კრებულის ავტორია. მას გოგოლიურ ენაზე არაერთი წიგნი უთარგმნია მსოფლიო ლიტერატურის საბანძურად. მას განიც, თუ ჰკითხავთ, ყველაზე უფრო ძვირფასი რაა თქვენს უმეორადედავო, უსათუოდ ბიპასუხებთ: რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ თარგმანი. კომპი განსაკუთრებული სიყვარულით არის გამსხვალული მართული ლიტერატურისადმი. მან გოგოლიურ ენაზე თარგმნა გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ზრიგოლ აბაშიძისა და სხვა მართვალ კომპი ნაწარმებები. სულ მალე ბალყარულ ენაზე აქედან დაგვიტოვებთ გურბუანი და ნიკოლოზ ბარათაშვილის კომპი. კომპს გადაუწყვეტილი აქვს, ბალყარულ ენაზე გამოსცეს „მართული კომპის ანთოლოგია“. მართვალ გავითხვალე საზოგადოებრიობა უთუოდ ინტერესით გააცნობა ჩვენი ხალხის კეთილი გეგმვის — გავითხვალე ბალყარული კომპის სალს გურბუანის უმეორადეგვის ნიშნავს, რომელთაც ვაქვეყნებთ ჩვენი ურნალის ამ სახალწლო ნომერში. ლექსები თარგმნა ნიშიერმა ახალგაზრდა კომპმა მავალა გონაშვილმა.

### გზაზე

ერთ მშვენიერ დილას დაგადექი გზას, არ გუდებდი ტოლს წვიმასა და ქარს.

მთებს ეფარა ნისლი, ცრემლები უფრო ბაცი. უცებ გადამიდგა გზაზე ბერიკაცი.

— ჰე, ჭაბუკო, ფრთხილად, ნიშიერი საით?

წინ ციცაბო კლდეა, სამეფო ქარის.

შესდექ, შეილო, წამით. დროს რად უსწრებ, ნეტავ, შეიბრალე სატრფო ან ჭალარა დედა!

შეივმოკლე მერანს სადავე და გვიქრობ: — რა არ გამოსცადა ამ მოხუცმა თვითონ.

ქარს ხედნიდა უინით და კაცური ვნებით. რეკოლუციური მზე მოჰქონდა მხრებით.

მერე? — ისეკ ომი, მტერს ებრძოდა ტიალს, რაჩიბების დრომდე ბრძოლით მოაღწია.

მითხრა: — ჭაბუკი ხარ, თავს არ ზოგავ, ვიცი,

ნებას აყოლილი, ვით უბელო კვიცი.


შეიბრძოლე მუდამ მტერს ცბიერს, მალულს, შეიწირე მხოლოდ სიმართლეს და მამულს.

ნუ აყვიბი ენებს, ან უაზრო წადილს. ეს გახსოვდეს მუდამ, ახლა თუ ასურს, წადი!





სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სა-  
ხელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი პოეტი  
შოთა ნიშნიანიძე



„პორტრეტი“

„ქალი დოქით“

„ძველი თბილისის კუთხე“

„ძველი სახლი“

„ნატურმორტი თუნგით“








# თამაზ სუსიუვილი


საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი





ფიზიო-კაბინეტში  
კარგი განწყობილება  
სუფთა ჰაერზე  
წუთიც ძვირფასია





კონსილიუმზე

ისეთივე ლამაზია ეს დაბა, როგორც სახელია მისი — განთიადი.

ასე ამბობენ აქ: ამ მხრიდან რა ავთვალი და გულმშვიერი კაციც არ უნდა შემოვიდეს საქართველოში, ლესელიძე და განთიადი ისე დაუტკობენ თვალსა და გულს, რომ მოყვრად მოაქცევენო.

აქ ბუნება მშვენიერია და მიწა ნოყიერი, ხალხი — მშრომელი, სტუმართმოყვარე.

ბევრი სახელოვანი კოლექტივი და მათი თავკაცია განთიადში, მაგრამ ამჯერად საავადმყოფოსა და მის მთავარ ექიმს გაგაცნობთ.

ჯერ საავადმყოფოს შესახებ:

განთიადის საუბნო საავადმყოფო ამ ტიპის საავადმყოფოებს შორის ყველაზე დიდია საქართველოში. ასე მითხრეს: — საუბნო საავადმყოფოების უმრავლესობა 25-50-საწოლიანია, იშვიათად, რომ 100-საწოლიანი იყოსო. განთიადისაში კი 160 საწოლია. აქ არის თერაპიული, ქირურგიული, ბავშვთა, სამშობიარო, ინფექციური განყოფილებები, კაბინეტ-ლაბორატორიები.

და, რაც მთავარია, თავისი საქმის მოყვარული, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალი.

ამ კოლექტივს ახალგაზრდა კაცი ვახტანგ გერგედავა უდგას სათავეში.

აქაურია, განთიადელი. აქ დაიბადა და დაეკავადა მამულიშვილობასა და სიკეთეს კაცი ოჯახში სწავლობს. ვახტანგ გერგედავა მოძღვართა ოჯახიდან შობის. დედა პედაგოგია. დიდი სამამულო ომის მონაწილემ, მრავალჭირნახულმა მამამ სიკეთეს შესწირა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს მასწავლებლთა ოჯახიდან მხოლოდ სასახელო შვილი გამოდიოდეს, მაგრამ ოჯახური აღზრდა, ოჯახური გარემო ხომ გადაწყვეტია ახალგაზრდის ჩამოყალიბებაში.

სიმწიფის ატესტატის მიღე-

ბის შემდეგ ორი წელი ფიზიკურად იმუშავა. მარტო სტაჟისათვის არ უმუშავნია, ასე ვთქვათ, საკუთარი თავი მოსინჯა.

მოსინჯა და კარგადაც გამოუვიდა: საქმეს გულიც დაუდო და დონე ხომ ერჩოდა. თანატოლებში სიმადლითაც გამოიჩინებოდა და სიმარდიტაც.

მერე კრასნოიარსკის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე შევიდა. გულმოდგინედ სწავლობდა და წარჩინებითაც დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე კურგანის ოლქის ნიშინსკის რაიონულ საავადმყოფოში გაამწესეს ბავშვთა განყოფილების გამგედ. აქაც ორი წელი იმუშავა და კარგი ქართველისა და მცოდნე ახალგაზრდის სახელი დატოვა.

1975 წლიდან ვახტანგ გერგედავა მშობლიურ განთიადშია და აქაური საუბნო საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებას განაგებს. ახალგაზრდა სპეციალისტის მონდომება, საქმის უსაზღვრო სიყვარული შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 1982 წელს საავადმყოფოს მთავარ ექიმად დააწინაურეს.

შეიძლება ვადაუჭარბებლად ითქვას, რომ ირგვლივ ყველაფერს დაეტყო მისი მზრუნველი ხელი. ახალმა მთავარმა ექიმმა თავის სამოქმედო უბანს თანამედროვე მოთხოვნების პოზიციებიდან შეხედა. ამ თვალსაზრისით კი ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, ახლად ასაშენებელი, დასანერგავი. მედღეხვალეი არასოდეს ყოფილა და მით უფრო ახლა, როცა ასეთი დიდი ნდობა გამოუტხადეს. როგორც იტყვიან, ხელმძღვანელებული შეუდგა საქმეს. გადაწყდა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის მთლიანი რეკონსტრუქცია, დაიწყო და ამჟამად დასასრულს უახლოვდება ახალი სამკურნალო კორპუსის მშენებლობა, დაინერგა მთელი რიგი ახალი აპარატურა, მკურნალობის მეთოდები.

ქალაქის ხელმძღვანელობა-

მაც ყურადღება და დახმარება არ მოაკლო. პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ კაბა საავადმყოფოს ხშირი სტუმარია და აქ მიმდინარე გარდაქმნების კურსშია მუდამდღე.

მკვეთრად ამაღლდა მკურნალობის ეფექტურობა.

განთიადში ზაფხულობით ხომ ათეულ ათასობით დამსვენებელი ჩამოდის და საავადმყოფოს მომსახურების სფეროც განუზომლად იზრდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამედიცინო პერსონალის მართლაც თავდადებული მუშაობის დიდი გულისხმიერების შედეგად, უკანასკნელი წლების მანძილზე არც ერთი საჩივარი არ მიუღიათ, არც ერთ სტუმარსა თუ მასპინძელს უკმაყოფილება არ გამოუხატავს განთიადელ მკურნალთა მისამართით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებს შორის ბავშვთა სიკვდილიანობის პროცენტი აქ ყველაზე დაბალია.

თუ წინადადებების წიგნში ჩანაწერებს გადახედავთ და ასობით მაღლობის წერილს თვალს გადაავლებთ, უფრო ნათლად დარწმუნდებით, თუ როგორი მოწადინებით მკურნალობენ აქ ავადმყოფებს. ჩანაწერებისა და წერილების ავტორები კი ჩვენი დიადი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან არიან.

ყოველივე ამის შედეგად განთიადის საავადმყოფომ, მისმა სამედიცინო პერსონალმა, შორს გაითქვეს სახელი.

და ეს, ცხადია, მარტო მთავარი ექიმის დამსახურება როდია. იგი ამაყობს, რომ გვერდში უდგანან გამოცდილი ექიმები, მათგან თვითონაც ბევრს სწავლობს.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობს ახალგაზრდა ექიმი საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმზე, მთავარი ექიმის მოადგილეზე სამკურნალო ნაწილში გიორგი გიგინეიშვილზე, რომელიც 40 წელია, რაც აღამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში დგას. აქედან 35 წელი განთიადის საავადმყოფოშია. ომგამოვლილმა მკურნალმა, ალბათ, სხვაზე უფრო იცის ჯანმრთელობის ფასი და ახალგაზრდა კოლეგებს დაუღალავად უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას. ჩინებული სპეციალი-

სტია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დიდი სამამულო ომის ინვალიდი, ქირურგიული განყოფილების გამგე სერგო გუგუციძე, თერაპიულ განყოფილებას განთიადის მკვიდრი სვეტლანა სკრიპნიჩენკო განაგებს, რომელიც ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლექტივსა და ავადმყოფებს შორის.

შესანიშნავად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას სამუდამო რგოლის მედიცინის მუშაკები, რომელთა საუკეთესო წარმომადგენლები არიან ექთანი ვანილა შენგელია და მეანი ლუდმილა ბაველაკოვა. ეს უკანასკნელი ახალგაზრდობის წინამძღოლიცაა — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანია.

ყოველი კეთილი საქმის პირველი მხარდამჭერი და ბოლომდე გამტარებელი, კომუნისტები არიან. კომუნისტური პარტიის 23 წევრს აერთიანებს საავადმყოფოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ექიმი ჟოზეფ ხაჩარიანი.

— ასეთ კოლექტივში მუშაობა სახალისოა და ამავე დროს მეტად საპასუხისმგებლოც, რადგან ყოველთვის მოწოდების სიმალღებზე უნდა იდგე; — სამართლიანად შენიშნავს ვახტანგ გერგედავა და მუდამ იმის ცდაშია, არც ერთი სიახლე არ გამოჩინოს როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთულ მედიცინაში. განუწყვეტლივ იმაღლებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნის დონეს. ვახტანგმა ბევრი რამ შეიძინა მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში ცნობილი საბჭოთა პედიატრის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ტაბოლისის ხელმძღვანელობით.

იგი მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების მუდამდღეობის ტრიალებს. არის განთიადის სახალხო დეპუტატთა სადბო საბჭოს დეპუტატი, აიმასკომის წევრი, ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

ჯერ მხოლოდ ოცდაფრამეტი წლისაა კომუნისტი ვახტანგ გერგედავა. ექვი არ არის, რომ ასეთი მაძიებელი, დაუღვრომელი ბუნების ადამიანი კვლავაც მოიპოვებს წარმატებებს როგორც მკურნალი და როგორც ხელმძღვანელი.

დამსჯა და ახლადდაკრფილი ვაშლი და ატაპი მო-  
მიტანა, მიირთვით, მისწავა...

დაწერილობით გამოვიკითხე აბესალომის ამბავი.  
იმ დღესვე, როგორც კი ბიჭმა შინ სკოლის დამ-  
თავრების მოწმობა მოიტანა, როსტომმა ბარგი შეკ-  
რა და შეიღოთან ერთად შორეულ გზას გაუდგა. სა-  
დღაც, ცხრა მთას იქით, ჩრდილოეთისა თუ აღმოს-  
ავლეთის, ურალის ერთ-ერთ ინდუსტრიულ ქალა-  
ქში როსტომს ფრონტის ამხანაგი და მეგობარი  
ჰყავდა. ომის დროს ურალელმა ზახარ რუსლანო-  
ვიჩმა, სამედიცინო სამსახურის მაიორმა, როსტომ  
ზურციძეს ურთულესი ოპერაცია გაუკეთა, სხეული-  
დან ყუმბარის რამდენიმე ნამსხვრევი ამოუღო და  
ამით სიკვდილისაგან იხსნა. ხსნა ცოტა, თითქმის  
სადსალამათი დაუბრუნა თავის ნაწილს. დამეგობრ-  
დნენ და დამომობილდნენ მას შემდეგ. მიმოწერა  
არასდროს გაუწყვეტიათ. სტუმრობასაც პირდებო-  
დნენ ერთმანეთს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოე-  
ხერხებინათ. რუსლანოვიჩი ლექციებს კითხულობდა  
სამედიცინო ინსტიტუტში. როსტომმა დიდი ყოყმა-  
ნის შემდეგ მისწერა ძმობილს, ძალიან მინდა ჩემი  
შიჭი ექიმი გახდეს, მაგრამ ცოტა სიბუჯითუ აკ-  
ლიათ. რუსლანოვიჩმა უპასუხა, მაგ შენს ერთადერთ  
შემკვიდრეს რამდენიმე წლით თუ შეეღვევი, გამო-  
მიგზავნე, შენთვის და შენი ოჯახისთვის თავს არ  
დაუზოგავო. მთელი წელი იჯდა აბესალომი ზახარ  
რუსლანოვიჩის სახლის ერთ-ერთ ოთახში ტყვესა-  
ვით გამოკეტვით, ენას სწავლობდა, ქიმიას იზუ-  
ხავდა და დაბადებას იწყებდა. მომდევნო წელს  
როსტომის სანუკვარი ოცნებაც ასრულდა — აბესა-  
ლომმა სტუდენტის ბილეთი ჩაიდო ჯიბეში. სამიო-  
დე წლის შემდეგ როსტომს რაღაც ჰყავდა, აბესა-  
ლომი ზახარის სიძე გახდა (შეირთო მისი უმც-  
როსი ქალიშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის პირ-  
ველი კურსის სტუდენტი).

გავიდა კიდევ სამი წელი, აბესალომმა დაამთავ-  
რა ინსტიტუტი. როსტომი და მარინე, უკვე ხან-  
შიშესულები და დაღლილები მოუთმენლად, უსახლ-  
ვრო სინარულით ელოდნენ შვილს, რძალსა და  
ორი წლის შვილიშვილს — ეგორკას. ჯაფასა და  
შრომას არ იკლებდნენ, კიდევ უფრო აღამაზებდნენ,  
ამშვენებდნენ სასლ-კარს, ეზო-გარემოს, უვლიდნენ  
ფურ-მოსევერს, ამრავლებდნენ ქათმებს: რძალმა  
საცხოვრებელი არ დაგვიწუნოსო, სორცის, რძის,  
ყველის, კვერცხისა და ხილის ნაკლებობა არ იგრძ-  
ნოსო. დავასვედროთ, ვაჩვენოთ, ვასწავლოთ. შერე-  
თვითონ მოუვლის, თვითონ უპატრონებსო. ჩქარობ-  
დნენ მარტოობით გაბზრებულ მშობლებში, დაა-  
ვიწყდათ, რომ რძალსაც უნდა დაემთავრებინა სას-  
წავლებელი, კიდევ უკლდა სამი წელი... ო, ღმერთ-  
ო! კიდევ სამი წელი... ათასი დღე, ათასზე მეტი.  
ათასი დღის დაღამებას არ იკითხავ? ათასი დღის  
გათეხება არ გინდა? გამაგრდით, თავს მიხედეთო,  
სწერდა აბესალომი მშობლებს, ჯანმრთელობას გა-  
უფრთხილდითო. ამასობაში სწავლასაც მოგრძობით  
და ცხოვრებას სასურველად აწყობათო. ამ ბოლო  
სიტყვებს — «ცხოვრების სასურველად აწყობას» — კა-  
რგა ხანს უტრიალა ცოლ-ქმარმა: ნეტავი რას  
უნდა ნიშნავდესო. აქ რამე დაფარული აზრი არ  
იყოსო, ბოლოს იმ აზრზე შეთანხმდნენ, რომ «ცხო-  
ვრების აწყობა» შინ ჩამოსვლას ნიშნავდა. სხვა რა-  
ღა უნდოდით როსტომსა და მარინეს? ჰოდა იცდი-  
დნენ.

უკვე თორმეტი წლის იყო ეგორკა, ბაბუა როს-  
ტომის აშენებული სახლის, მისი ლამაზი კარ-მი-  
დამოს ნახვა რომ ედირსა. აბესალომის მშობლები  
უკვე მოხუცები, ავადმყოფობი იყვნენ. ახლა აღარა-  
ფერი გიჭირთო, ულოცავდნენ მათ მეზობლები, ნა-  
თესავები, ნაცნობები, შვილიც ექიმი გყავს, რძა-  
ლიც, მძახალიც, ასწლიან სიცოცხლეს ახლა თქვენ  
აღარ დასჯერდებითო. რისი გეშინოდით, აკი ჩა-  
მოვიდნენო... ჩამოსვლით კი ჩამოვიდნენ, მაგრამ  
ასეთ ჩამოსვლას მეჩის დაცემა ერჩივნათ. შვილმა  
გადაჭრით მოსთხოვა მშობლებს, ახლა თქვენ მო-  
ხუცები და ავადმყოფები ხართ, ასე უპატრონოდ  
ველარ დაგტოვებთ, უნდა გაყიდოთ აქაურობა და  
ჩვენთან წამოვიდეთო, იქ მოგივლით, სათანადოდ



გიმკურნალებთ, ცივ ნიავს არ მოგაკარებთო. გინ-  
დათ, ჩვენთან იცხოვრებთ ქალაქში, გინდათ, აკა-  
რაკი გვაქვს ქალაქგარეთ, ბოსტნით, ბაღით, გათბო-  
ბით და განათობით... მეტი გინდათ რამე? საჭმელი  
არ მოგაკლდებათ და სახმელი, მკურნალობა და  
დასვენებაო. „კი, მაგრამ, შვილო, ამ კარ-მიდამოს,  
ამ სახლს კაცი შეუღვევა? შეხედ, როგორია... ვაი-  
ხედ-გამოიხედე, მთელ სოფელში თუ ნახო მსგავსი...  
ყველაფერი მე გაგაკეთე, თვითონ... საკუთარი  
ხელებით...“ „კარგი რა, მამაჩემო, ნუ იცი უცნაური  
ლაპარაკი. სახლი სახლია, შენ გააკეთებ თუ სხვას  
გაკეთებინებ... კარგია, ვხედავ. კარგ ფასდაც ვაი-  
ცილება.“

ოცი დღით იყვნენ ჩამოსულები. როსტომი კიდევ  
არ კარგავდა იმედს, ამ ოც დღეში იქნება სასწაუ-  
ლი მოხდესო, იქნება რძალი მაინც დავიყოლიო.  
ზინაიდას, ანუ ზინკას, როგორც ყველანი ეძახდნენ  
(თვით ეგორკაც კი), ბევრი თათბირი და შეგონება  
არ დასჭირვებია, მე აქაურობა ძალიან მომიწონსო,  
აქ მიჩვევინაო, მაგრამ აბესალომი წინააღმდეგობა  
მუხლებმოკვეთილი, თვალბეჭეტი ცრემლჩაგუბებული  
როსტომი, მთელი ათი წლით ერთბაშად დაბერე-  
ბული, ახლა ვაგს მიუბრუნდა: „ეგორი მაინც მო-  
მეცი, შვილო...“ „თქვენ მოუვლით ამ გიჟს? იქით  
ხართ საპატრონო.“ „კი მოვუვლი, შვილო... როცა  
დავინახავ, რომ არ შექცევა ოჯახი, რომ ვიღაც კი-  
დევ დადის ჩემს ბარობაზე, ჯანი და ღონე მომეცემა,  
გავანალგაზრდავებო... სამ-ოთხ წელიწადში თვი-  
თონაც დავაქვამდებო, თვითონ მოგვხედავს... თქვენ  
კიდევ ახალგაზრდები ხართ, კიდევ ბევრი შეგეძინე-  
ბათ.“ „სწავლა? ხუთოსანია ბავშვი...“ „არც სწავლა-  
ში შევმლება ხელი. აქვე არა გვაქვს სკოლა? არ  
ჩამორჩება სწავლას, ნუ გეშინია.“ „ენა რომ არ  
იყოს?“ როსტომი ჩაფიქრდა. ეს მართლაც დიდი  
დაბრკოლება იყო. „ვასწავლი, შვილო... მასწავლე-  
ბლებს მივბარებ, შევეხვეწებო... არ გაუჭირდება...  
ბოლოს დაბოლოს სისხლიც თავისას იზამს...“ „რის  
სისხლი და სორცი, მამაჩემო, რა ზღაპრებს მიყე-“

ბი ამ ხნის კაცი. ასე ნასწავლი ვნით მაგ ბიჭი  
სწავლას როგორ დაეწევა? რაც იცის, ისიც დაავიწყ-  
დება, გაჯახირდება, გაწვალდება ჩემსავით.“

მძახალს — ზახარ რუსლანოვიჩსაც (ახლდა ქა-  
ლიშვილსა და სიძეს) სთხოვა როსტომმა, მიშველე,  
იქნება შენ გააგებინო რამე ამ ჩემს უჯიგრო შვილ-  
სო. პატიოსან სიტყვას გაძლე, შენს ქალიშვილს  
არაფერს გაუუჭირებო. თუ მაინცდამაინც ქალაქი-  
სკენ მიიწევი გული, იცხოვრონ სადმე მასლობელ  
ქალაქში, შაბათ-კვირას სომ მაინც გამოჩნდებიან,  
მინდავეთ ამ სასლ-კარს, ეზო-გარემოს, ბაღ-ვე-  
ნახს. რომ გავყიდოთ აქაურობა და თქვენთან ვად-  
მოვსახლდეთ, რამდენიმე თვეში დავიხსოვებით  
ორივე, იქაურ ჰავასთან შეგუება ამ მოხუცებს სად  
შეგვიძლიათ. ზახარ რუსლანოვიჩი დადონდა, შუბ-  
ლი შეეჭმუნა. მართალი ხარო, უთხრა როსტომს,  
თქვენს ასაკში საცხოვრებლად ასე შორს გადასვლა  
სარიკო საქმეო. ზახარც სომ ექიმი იყო, განათ-  
ლებული, მეცნიერი კაცი, როსტომზე სამიოდე  
წლით უმცროსი, მაგრამ ჯერ კიდევ საოცრად მხნე,  
ჯანმრთელი, ენერგიული. სოფლის ირგვლივ შე-  
მოჯარული მთები და ტყიანი ფერდობები რომ დი-  
ნახა, ყმაწვილივით აცმუკდა: ეს რა სასწაული  
ვიხილეო. გაიძახოდა, თუ ეს ყველაფერი ფხვნით არ  
მოვიარე, აქედან წამსვლელი არა ვარო. როსტომი  
მეგზურად გაიძლოდა (უარს როგორ ეტყოდა მას-  
პინძელი ფრონტელ ამხანაგს, ძმობილს, მძახალს),  
ეგორკაც აეკიდათ და შეუდგნენ აღმართებს. დი-  
ლით წასულები საღამოს ძლივს ბრუნდებოდნენ  
არაქათგამოცლილები.

ეგორკა ჩიტოვით დაფრინავდა, ზახარც ბედნიე-  
რი იყო, ამის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი  
განმიცდიათ. როსტომი ჩუმად კენსოდა ღამ-ღამო-  
ბით, ფეხის კუნთები სტიკოდა, ცოტათი გულსცემ-  
და აუჩქარდა. რუსლანოვიჩი ამშვიდებდა, არ შე-  
გვემინდეს, გავივლისო აი, ნახავ, თუ ამ ოციოდე  
დღეში ოცი წლით არ გაახალგაზრდავდეთო. ბაბუამ  
და შვილიშვილმა მთავორებზე სტიკალით გული





# ქიზილან პრეპროდუქსიან

დიდი პევილიონის შუშის ვიტრაჟებში გამოფენილია ფართო მოხმარების საქონელი, ისეთი, რესპუბლიკაში უკვე არ არის, ან არის, მაგრამ მცირე რაოდენობით. მათზე ჩვეულებრივ ამბობენ, დეფიციტიაო.

იმისათვის, რომ ბაზარი გაივსოს ახალი, ძნელადსაშოვარი საქონლით, საბჭოთა კავშირში პირველად, სამეურნეო ექსპერიმენტის სახით, შეიქმნა საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და ძნელადსაშოვარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკური დარგთაშორისი ცენტრი. იგი მოწოდებულია ეფექტიანად წარმართოს ვაჭრობის სისტემის სამეურნეო საქმიანობა, შეისწავლოს მომხმარებელთა მოთხოვნა, წარმოებაში დასანერგავად დააპროექტოს ნაწარმი და თვალყური ადევნოს მის რეალიზაციას.

— ჩვენი საქმიანობა, ძირითადად, დამყარებულია რესპუბლიკაში მიღწეული სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის გეგმაზომიერ გამოყენებაზე, — თქვა ცენტრის დირექტორმა, საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებულმა მუშაკმა ლინა დიორტკინამ. — ჩვენი მოწოდებული ვართ, არსებითი გავლენა მოვახდინოთ საქონლის ხარისხისა და სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებაზე. ამისათვის გულისყურით ვსწავლობთ საწარმოთა შესაძლებლობებსა და ნედლეულის რესურსებს, ვაანალიზებთ ინფორმაციას რესპუბლიკაში წარმოებული საქონლის შესახებ, წარმოებაში აღარ ვუშვებთ ისეთ ნაწარმს, რომელზეც არაა მოთხოვნა.

მთელი ეს საქმიანობა ხორციელდება სათანადო სამინისტროებსა და უწყებებთან ურთიერთმოქმედებით. საერთო ხელმძღვანელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მოხმარების საქონლის კომისია.





ცენტრის წინადადებით ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა მიმდინარე წელს ათვისებს ორმოცზე მეტი დასახელების სამეურნეო კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სპორტულ და საგალანტერიო ნაწარმს (რეალიზაციის მოცულობაა 29 მილიონი მანეთი). სახალხო მოხმარების საქონლის პირველი სამრეწველო პარტიები რეალიზებულია მაღაზნია-სალონში „სიახლე“, რომელიც თავისებური ლაბორატორიაა კონკრეტული სამრეწველო ნაწარმის გასაღების შესწავლისათვის.

მაშ, ასე: „საქცენტრმრეწვანერგვა“, რომელიც სწავლობს მოსახლეობის მოთხოვნას ამა თუ იმ საქონელზე, ხელს უწყობს წარმოებაში ძნელადსაშოგარი საქონლის დანერგვას სამრეწველო საწარმოების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, თანაც რეკლამას უწყევს საუკეთესო ნაწარმს.

1761 1705




**სურათებზე** (მარცხნიდან მარჯვნივ): 1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგზამო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკური სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე **ოთარ ლოლაშვილი**, ცენტრის სამრეწველო ათვისების სამუშაოთა საკოორდინაციო განყოფილების უფროსი **ამირან სარქისიანი**, ცენტრის დირექტორი **ლინა დიორტიანი** და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე **გივი ჯაპალაშვილი** სახალხო მოხმარების საგზამო ახალი ნიშნულების განხილვისას; 2. მიმდინარეობს რესპუბლიკური სამეცნიერო საბჭოს სხდომა; 3. კატარას მოსწონს მოქრავი საბავშვო მა-

გილა, რომელიც საწარმოო გაერთიანება „ელექტროკაპარტმა“ გამოუშვა. 4. მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენლები ეცნობიან სახალხო მოხმარების საქონლის ნიშნულებს; 5. ეს-ეს არის საწარმოო გაერთიანება „ელექტროკაპარტის“ სამსხმელო მანქანის ნაკადიდან ჩამოვიდა თეთრეთლის კლასტასის სამეურნეო კალათები; 6. საწარმოო გაერთიანება „თბილისლიტონ-ნაკეთობის“ მიერ გამოშვებული ეს მაკრატლები დიდად გაუადვილებინ უროვას მიცეპრუსებისა და მშენებანების; 7. ეს კალათებიც არაა ურიგო. ფოტო ანატოლი რუხაძის (საქინფორმის ფოტოკორიკა).

საქართველოს  
კულტურული  
მემკვიდრეობის  
მინისტრის  
გენერალური







ფაცია და სონია გობრონიძეები

ვისი ჩაცმისა და სწავლის მეტი არაფერი ევალეობდა?

თანდათანობით აცივდა. ჩრდილოეთის სუსხს შეუჩვეულ ბავშვებს გარეთ ცხვირის გამოყოფა უჭირდათ. თუ რამ ტანსაცმელი ჰქონდა სოფლიდან წამოღებული, დისშვილებს გადაუკეთა, რაც ტანზე ეცვა ის კი შემოეძარცვა. თვალსა და ხელს შუა გაქრა სურსათის ის მცირეოდენი მარაგი, სონიას რომ შემოენახა, აღარც არაფერი სპიცენკოებს შემორჩენიათ.

დილაუთენია გამოდიოდა სახლიდან ფაცია და ახლო-მასლო სოფლებში კარტოფილის ყანებისაკენ მიეშურებოდა. გათოშილ მიწას ჯონითა და შიშველი ხელებით ჩიჩქნიდა, რომ დამშეული ბავშვებისათვის მიწაში ჩარჩენილი კარტოფილი წამოეღო. მიწის ხელები შრომისაგან დაღლილი დედაბრის ხელებს დამსგავსა, მაგრამ ვერ გრძობს ამას ფაცია. თითოეულ კარტოფილს ოქროსავით სათუთად ასუფთავებს, პარკში აწყობს.

— ფაცია, იცი, სონია ცოცხალი ყოფილა. აქ საბჭოთა ოფიცრების ოჯახების წევრებისათვის მოწყობილ ტყვეთა ბანაში ჰყოლიათ. ნახვაც შეიძლებაო, ამბობენ, — ახარა ერთ დღეს დეიდა ტანიამ ფაციას. — თუ გინდა, ახლავე წადით შენ და ვეროჩკა.

როგორ არ უნდოდა?! მზად არის მისი ნახვისათვის სიცოცხლეც კი გასწიროს.

ოჰ, როგორ მოწყურდა სონიას დანახვა. მისი და აქ ფაშისტთა ბანაკში იტანჯება, იქ კი — ნატანებში, ალბათ კიდევ უფრო მეტად არიან შემოფოთებული დებისა და ბავშვების ბედზე.

— როგორი მადლობელი ვიქნები,

თუ ვეროჩკას გამაყოლებთ, — მორიდებით უთხრა მან ტატიანას. — ახლავე წავიდოდი მის სანახავად.

— წადით, წადით, მიხედეთ. იქნებ რითიმე დავეხმაროთ. — თქვა ტატიანამ და მერე შვილს მიუბრუნდა. — სონიას უთხარი, ბავშვების დარდი ნუ გექნება, როგორც ჩემს შვილებს, ისე მოვუვლი-თქო.

დაცარიელებულ ქუჩებში მხოლოდ გერმანელთა მანქანები და ერთი-ორი ჯარისკაცი თუ გამოჩნდებოდა ხოლმე. ფაცია და ვერა ყველაზე ყრუ ქუჩების გავლით მივიდნენ ტყვეთა ბანაკში.

მავთულხლართის იქით-აქეთ დგანან დები, ერთმანეთს მისჩერებიან და ცრემლებად იღვრებიან. ხმას არც ერთი არ იღებს. სახედალურჯებული სონია სულ გამოცვლილა.

„როგორ გამხდარა, დაძაბუნებული ჩემი ფაცია, — ფიქრობს სონია. — მთლად დაუკარგავს ფერი. ვინ იცის, შია, სცივა. ვინ იცის, როგორ არიან ჩემი პატარები?“

„რას დამსგავსებია ჩემი დაიკო, — ცრემლაცურებული თვალებით უაზროდ მისჩერებია ფაცია საყვარელ დას. — როგორ უწამებიათ, უცემიათ და უგვემიათ ამ ქვეწარმავლებს. ვინ იცის, შია, სწყურია.“

— მალე მოგვლებათ ბოლო, გველებო. ჩვენები მოვლენ და კუდით ქვას გასროლინებენ, — ხმამაღლა გააგრძელა ფიქრი.

— რა თქვი, გოგონი? — შეეკითხა სონია ღობის იქიდან.

— ა? რა? ჰო, მართლა, ჩვენ ყველანი კარგად ვართ. მხოლოდ ბავშვებს შენ ენატრები ძალიან. ხომ არაფერი

გჭირდება, იცოდე, მიწას ამოვამბრუნებ და ყველაფერს გაგიჩენ, — უცხად მოეგო გონს ფაცია.

— მე რა მიჭირს. ბავშვებს მიმისხედე, შენ თავს მოუარე. — მერე ვერას მიმართა: — ვეროჩკა, საყვარელო, თქვენ იმედად ვარ. ხომ იცი, სამივენი უცხოდ არიან, არაფერი იციან ქალაქში, სამივე უსუსურია. დედაშენსაც გადაეცი, ჩემო კარგო.

— ნუ სწუხხართ, დეიდა სონია. არაფერი გაუჭირდებათ, — დაამშვიდა ვერამ. — ყველანი სულ ერთად ვიქნებით.

ტყვეთა ბანაკიდან გამოსვლისას ბავშვებს უთხრეს, რომ შეგიძლიათ თქვენ ნათესავს სადილები მოუტანოთ ხოლმეო.

— დღესვე ვეტიყვი დედას, გამაზღლოს სადილი და წამოვუღოთ! — თქვა ვერამ.

ფაცია მიდიოდა და თვალწინ ისევ სონიას სახე ედგა. როგორ უწამებიათ საბრალო. რა ნებისყოფის პატრონია ჩემი დაიკო! მშიერ-მწყურვალნი ისევ ჩვენზე დარდობდა!

„— იცოდე, ფაცია, — იგონებდა დის ნათქვამს. — მე რომ მომკლან კიდევ, ჩემგან ვერაფერს ვერ გაიგებენ, ყოჩაღად იყავით. ცოტა კიდევ გაუძელოთ. დაიხსომე, მაგათ დიდი დღე არ უწერიან. ჩემი გულისათვის, ჩემი პატარების, შენი გაწამებისათვის შურს იძიებენ ჩვენები.“

ფაციამ გზის მეორე მხარეს თვალი მოკრა პავლე ნიკულენკოს. ძლივს იცნო სონიას გამაუმედურებელი მოღალატე. მას ცალი თვალი ბანდით ჰქონდა შესვეული.

ფაციას თვალთ დაუნუნებდა, სისხლი სახეში მოაწვა, მზად იყო ქვისათვის ეტაცა ხელი და სახეში ეთხლიშა ნიღბანდლილი გარეწრისთვის, მაგრამ თავი შეიკავა.

— ვეროჩკა, შენ წადი, მე მალე მოვალ.

— სად აპირებ წასვლას?

— არსად, აქვე მაღაზიაში მივალ. ცოტა ფული მაქვს, ვიყიდი რამეს ბავშვებისათვის.

— მეც წამოვალ, მარტო რად უნდა წახვიდე?

— შენ რაღა გინდა, მალე მოვალ.

— ნუ ცრობ, — მიახალა ვერამ მოურიდებლად. — ჰირდაპირ მითხარი, რა გინდა? — მერე ცოტა დაფიქრდა და წყნით ჰკითხა:

— ჩვენგან გინდა წახვიდე?

— რას ლაპარაკობ, ვეროჩკა. ეს როგორ გაიფიქრე. მე უთქვენოდ სხვა რა გზა მაქვს, ბავშვებს სად წავიყვან?

— მაშ სად მიდინარ?

— ხედავ იმ კაცს, თვალშეწვეული რომ მიდის? — შეეკითხა ყოყმანის

შემდეგ ფაცია. — ვე ნიკულენკო, სონია რომ წაყვანინა ტყვეთა ბანაკში.

— მერე რა გინდა ახლა იმისაგან მოკვლას ხომ არ უპირებ? — დასძინა ტა ირონიულად.

— რატომაც არა! ვეცემი სახეში და კბილებით გამოვღრღნი ყელს.

— მეც შენთან წამოვალ. ვნახოთ, სად მიდის, რისთვის მიდის.

შორიასლოს გაჰყვინენ ნიკულენკოს, რომელიც დაფიქრებული მიდიოდა და ვერაფერს ამჩნევდა. ერთგან შეჩერდა, უაზროდ მიმოიხედა.

ქალაქის გარეუბანში გავიდნენ. ნიკულენკომ პატარა შიშველი ველი გადაიარა და მოშორებით მდგარი, დანგრევას როგორც ვადარჩენილი სახლისაკენ გაემართა.

ვერამ იცნო ის სახლი — თვალის პოლიკლინიკა.

— გასაგებია, გასაგებია, — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა გოგონამ. — სონიას კარგი „საჩუქარი“ მიუროთმევია მაგისტოვის.

მოშორებით ჩამოსხდნენ და დაუწყეს ლოდინი.

ნიკულენკო მალე გამოვიდა სახლიდან, თეთრი ბინტით ჰქონდა თვალი ასვეული.

ფაციამ მეორე დღესაც დაინახა პოლიკლინიკისაკენ მიმავალი ნიკულენკო, მესამე დღესაც. იგი ყოველთვის ერთსა და იმავე დროს გამოჩნდებოდა ხოლმე ქუჩაში. ფაციას მის დანახვაზე მთელი სხეული უცანცაუნებდა. გული ბოლმით ევსებოდა, რომ არ შეეძლო, ბოლო მოეღო.

...ფაცია სონიასაგან ბრუნდებოდა დაღვრემილი და თვალბნაცვივნიული. მას სულ უფრო და უფრო მეტად აწუხებდა დის ბედი. ყოველი ნახვის შემდეგ იგი კიდევ უფრო გამხდარი და ნაწამები ეჩვენებოდა, სახეზე და შემოძარცვულ სხეულზე ახალ-ახალი იარები და ჩალურჯებული ადგილები უჩნდებოდა.

ერთ-ერთი ჩამონგრეული სახლის კედლის გვერდით რომ გაიარა, რაღაცა შავ საგანს წამოკრა ფეხი. ნანგრევებში პისტოლეტი ეგდო. მიმოიხედა და როცა დარწმუნდა, არავის შეუმჩნევიარო, სტაცა პისტოლეტს ხელი, უბეში ჩაიღო და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

ვერას არაფერი უთხრა. გულში იმედის ნაპერწკალი ჩაესახა და რაღაც უცნაური, ჯერ განუსაზღვრელი ნაბიჯისათვის მოემზადა.

დიდხანს არ დასჭირვებია ამ საბედისწერო დღისათვის ლოდინი. იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, მიდიოდა ნიკულენკო პოლიკლინიკისაკენ. ფაცია მას შორიასლო დაედევნა. ხელი კაბაზე მიეღო, იქ, სადაც იარაღი ეგულებოდა.

ნუთუ ვერ შეძლებს ფაცია იდიოს შური მოლაღატეზე. ნუთუ დამარცხდება საზოგადოებრივად ადამიანთან ორთაბრძოლაში?

იმ პატარა ველს რომ მიუახლოვდნენ, რომლის გადაღმა პოლიკლინიკა იყო, ფაცია მისტოლეტი ამოიღო.

— ძია პავლე! — დაიძახა ხმის კანკალით.

ნიკულენკომ უკან მოიხედა. ფაცია კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ. მათ შორის რაღაც სამი-ოთხი ნაბიჯი იყო დარჩენილი.

მისტოლეტის დანახვაზე ნიკულენკო ჯერ შეცბა, მაგრამ როცა დანახვა იარაღი ბავშვს ეჭირა ხელში, დამშვიდდა.

— რა გინდა, გოგონი? — ჰკითხა ძალდატანებული სიმშვიდით. — მისტოლეტი გვერდზე გაწივ, არ გაგივარდეს.

— შე კომისარ კოტეს ცოლისდა ვარ.

— მისტოლეტი გადაგდე! გადაგდე-მუთქი, არ გაგივარდეს.

— მიიღე ღალატის ჯილდო, ქვეწარმავალი! — გაისმა ფაციას ხმა და მთელი ძალით გამოსდო თითო სასხლეტს.

მაგრამ, ვაი, უბედურება! სასხლეტს ადგილიდან ძველად ვერ უყო. შიშისაგან შუბლზე ციკმა ოფლმა დაასხა. ნუთუ ალღევების გამო თითებს ვეღარ იმორჩილებს? მას ხომ რამდენჯერმე გაუსვრია მისტოლეტი ტირში. ახლა რა მოდის?

წამიერი შეფერხება შენიშნა ნიკულენკომაც. იმედის ნაპერწკალი გაკვესა თვალში. აღარ დააყოვნა. ელვის სისწრაფით მოწვედა ადგილს და ფაციასკენ გამოუქანა.

ფაცია იგრძნო: აღსასრულის დღე დადგა. მთელი სხეული დაეძაბა. ავტომატურად ამუშავდა გონება და ის იყო ნიკულენკოს უზარმაზარი სხეული თავზე უნდა დასობოდა, რომ შექანიკურად მარცხენა ხელი მოსცილდა ლულას და ისიც ჩახშავს ჩააფრინდა, მთელმა ძალამ და ენერგიამ ორივე ხელის საჩვენებელ თითებში მოიყარეს თავი. იგრძნო, რომ ჩახშავს დაემორჩილა.

გაისმა სროლის ყრუ ხმა. ნიკულენკო მოცელილი მიწაზე დაეცა და ქვეშ მოიყოლია ფაცია.

ერთხანს ორივე უძრავად იყო. მერე ნიკულენკოს სხეული შეიძრა. წამიც და მის ქვეშოდან თმაგაწეწილი, მთლად ფერმკრთალი, აცანცანებული ფაცია გამოძვრა. აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. ვერაუინ დაინახა და შინაშეკენ მოკურცხლა.

— რა მოგივიდა, რას დამსგავსებხარ? — ერთხმად მიანალეს დედა-შვილმა.

— ნურაფერს მკითხავ, დეიდა ტანია, — ძლივს მოახერხა ფაცია და კალთაზე მიკრა. მხოლოდ გვიან, დაწოლის წინ გაუმეღაუნა დედა-შვილს ყველაფერი.

ფაციას იმ ღამეს სიცხე მისცა. გასურებულ შუბლზე მალამალ უცვლიდნენ სველ ტილოს. ორი დღე-ღამე გონს არ მოსულა, ხშირ-ხშირად რაღაც უაზრო სიტყვებს ამოიძახებდა.

ერთი კვირის შემდეგ ფაცია ისევ მოკეთდა, რომ ნება მისცეს წასულიყო სონიასთან, თანაც მკაცრად გააფრთხილეს, მასთან კრინტი არ დაეძრა იმაზე, რაც მოხდა. ქალაქში ისედაც დიდი ამბავი დატრიალდა: ნიკულენკოს მკვლელებს დაეძებდნენ.

ნატანებიდან წამოღებულ თინის ქოთანში ჩაყარა ლობიოს უკანასკნელი ჯერი ფაციაში.

შეჭამიანი ქოთანი ჩვრებში შეფუთა, რომ ცხლად მიეტანა დისთვის.

— რა გინდა, გოგო, რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა საპრობოლის დარაჯმა.

— საჭმელი მოვუტანე დას.

— ვინ არის შენი და, რა მიგაქვს მასთან?

— ჩემი და სონია გობრონიძეა, სადილი მოვუტანე, — წარბშეუხრკლად უპასუხა გოგონამ.

— ვინ სონია გობრონიძე? წითელი არმიის კომისრის ცოლი?

— დიას, ის.

— ჰა-ჰა-ჰააა, — გაეცინა გერმანელ ჯარისკაცს. — მას საჭმელი მოუტანე ხომ? ჰა-ჰა-ჰააა...

— დიას, სადილი მოვუტანე.

— მადა არა აქვს. მკვდარს სადილი რაღად უნდა, უკან წაიღე. შენ შეჭამე.

— როგორ თუ მკვდარს? ის ცოცხალია, ალბათ გეშულებათ, — შესძახა ადუღებულმა ფაციაში.

— გუშინ ის ქალი სამ სხვა რუს ტყვესთან ერთად დახვრიტეს.

მუხივით მოხვდა ეს სიტყვები ფაციაში. თვალთ დაუბნულდა, სუნთქვა შეეკრა, ხელები აუკანკალდა. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ენა არ დაემორჩილა.

„საბრალო დაო, ჩემო სონია! რად მიმატოვე, მე რა ვქნა ახლა?“

ინსტინქტურად შემოხსნა ჩვრები ქოთანს. წყალწყალა ლობიო თითქოს ისევ თუნთვებდა შიგ.

ფაშისტი ჯარისკაცი არხინად განაგრძნობდა ვაშლის ჭამას და გულიანად სარხარებდა.

— რა გაცივებს, შე პირუტყვო, შენა? — წამოიძახა გააფრთხილებულმა ფაცია და მდუღარე ლობიო სახეში შეასხა სხვის უბედურებაზე მოხეიმიე პიტლერელს.

გაფუჭვლმა ფაშისტმა სიმწარისაგან შეჭყვირა და ორივე ხელი სახეში იტყავა.

ფაცია ადგილიდან არ დაძრულა. ფაშისტი გონს მოვიდა. ავტომატი მხრიდან მოივლიჯა.

— შე ძაღლის ლეკვო, შე გველის წიწილო, — დაიღრიალა მან და მიჭრით მიუშვა ავტომატის ჯერი.

ფაცია გაუნძრევლად იდგა და მიჩერებოდა გამხეცვულ ფაშისტს, რომელიც სახედავად ამოთხვრილი სასაცილოდ გამოიყურებოდა. ფაცია სტუმრებზე კმაყოფილების იგრმა გადაჰკრა. ის ისევ ფეხზე იდგა და უკვე გაციკებული თვალები შურისძიებასათვის მიეპყრო მკვლელისათვის.

გოგონას მუხლები მოეკვითა და მოხსნელებით გადავარდა უკან. გაშმაგებული პიტლერელი კი კვლავ უშენდა ტყვიას უსულო სხეულს.

## შერიგება ტალღებთან

ლეჩურს გავცდით, აისვეტა ათი შთა თუ მეტი უფრო. განთიადის ფერი ედვა. ღრუბლისა და მზის საუფლოს.

უფსკრულიდან ცის კამარა ჩანდა ერთი ნების ხელი. მდინარემ არ გამოკარა და არც ცეცხლი გამიწვია.

ფერთა კალამ გამიცინა, მწვანე კალთა გამიშალა. ირმების და შვლებების ბინა არ მინახავს ამისთანა.

ულურჯისი ლაუვარდიდან სხივთა თოკი მომავლდა. ამამალა, დამამშვიდა, თბილ უბეში მომასვენა...

მოდმუოდა სტორის ტალღა, ამღვრეული, უღვთო, უფრთო, მე ვიდექი მასზე მალდა და ძლიერი ვიყავ უფრო.

მთა-თუშეთის თეთრმა მთებმა მომწოდეს თაფლის სურა და ტალღებთან შერიგება თვითონ გულმა მოისურვა.

## ვილას ახსოვდა ქარ-წვიმა

იალაღებზე ლემადემ ნისლივით მამორიალა, ჩემს ყოველ ნაბიჯს ზვერავენენ ქური, დეკა და ხვიარა.

ხეობა სამი ალაწინის თვალწინ მეფინა მზეხავით. ტკბილად მღეროდა ლამაზი, თვალბით სხივთან მკვესავი.

თუშურ გარმონის წკრიალი მთებს ევლებოდა ექოლა.

გვხვდებოდნენ აბჯრის უღრიალით ციხე-ბურჯები ბექობთან.

ვილას ახსოვდა ქარ-წვიმა, ქალას მორევის ტრიალი, გაგვიყოლია გზაწვირლმა ღმილით, ტრფიალ-ტრფიალით.

ქედს აღმასები ეყარა, ახსლეთილები ელვიდან. ჩემი მეგონა ქვეყანა თავის ტყითა და ველითა.

ქალს სხივი ედგა თვალბში, გულსაც მზეხავით ანთებდა. დამე ბუნების აღერსში იღვენთებოდა სათთებდა...

ვეცავდით ვიწრო ბილიკებს, სასიყვარულოს ვმღეროდით. ნამცებმა გაგვაქილიკეს, უკეთესს არც მე ველოდი.

## ნაავდრალი თვალები

კლდეს ჩანჩქერები ეკიდა, როგორც ქალის ყელს მძივები. ქოხთან ასული ლეკისა იდგა ლურჯთვალა იებით...

და ნაავდრალი თვალები ვერცხლის ცვარვით ბრწყინავდა. გავუღე გულის კარები იალაღების ბინადარს.

გუნებელ ლამაზმანისა ქოხი ტაძარი მეგონა. სხივმა მზისამ თუ მთვარისამ ერთად შეგვკრა და შეგვკონა.

ქოხთან ასული ლეკისა იდგა ლურჯთვალა იებით. კლდეს კი ჩანჩქერი ეკიდა, როგორც ქალის ყელს მძივები.

## რეპე ვეკუა

## სიტყვა გაეშულს

ესეც ამერ-იმერი, როგორც სავსე ფიალა, ერთი თვალსაწიერი, ნატურის თვალის მთლიანად. ლისს აქეთა მთები, თუ ლისს იქით ველები, ძარღვში სისხლად გვინთია, თავზე მისთვის ველებით. ცა და მიწა დალოცვილი, მწვანედ შენამული ყანა... თვალშეუღვამ მთასა ვგავარ,

ისე შემავლიანა. კრთის ზამბახი, დელავს ბალი ბარის ყვავილ-ვარდიანად, ჰე მამულო, მზემ განათოს ღებნა გქონდეს, დარდი არა! კაცი — ერთი ფეხვი შენი, წამმა შემეფიქრია... გამახარე, მათქმევიენ სიტყვა ყველა რიგინანად!

# საქართველო ისევ ცხელი იყო...

## არკადი არკანოვი

ერთხელ დროზე ადრე დაგბრუნდი შინ, რაც უკვე თავისთავად უჩვეულო იყო. სწორედ მაშინ დაიწყო ის სევდიანი საღამო, როცა დრო საშინელი სიჩქარით ამოძრავდა. ყველაფერი დასრულდა იმით, რომ გავიქანე და ჩაღვლს შევასკვდი, გადავიქეცი ჩვეულებრივ ფოტოსურათად, რომელიც სამყაროს გაოგნებული, ცარიელი თვალებით მიშტერებდა.

მე ადრე დაგბრუნდი და გადავწყვიტე: „დღეს ჩვენ თეატრში წაველთ“.

გააღღე კარი. სინათლე არ ენთო. შემოსასვლელი გავანათე და შევსახე:

— მოვედი!

ცოლმა არ მიპასუხა.

— მოვედი! — გავიმეორე.

ისევ არ გამომიპასუხა.

— თავს ნუ იგდებ, ვითომ გძინავს, ადგილი, თეატრში მივლივარ.

იმის მაგივრად, რომ გახარებული გამოვარდნილიყო ოთახიდან და ასკინკილა დაეგლო, მან ისევ არ გამცა ხმა. „მართლა ჩასძინებია“, — გავფიქრე და ისე რომ ოთახში სინათლე არ ამინთია, ფეხბაკრეფით მივედი დივანთან და ზედ დავემხე. ხელებში მისი უხეში სარჩული შემირჩა.

„ზის სამზარეულოში და მელოდებ“, — გამიელვა თავში და სამზარეულოსკენ გავემართე.

მაგიდაზე იდო სოკოს შეჭამანდით საკვებ თეფში, გვერდით ელაგა დანა-ჩანგალი, კოვზი, თხელ ნაჭრებად დაჭრილი პური და არაყის ქილა.

„აბაზანაში შეძვრებოდა, ემბაქუნა“, — გავფიქრე.

აბაზანაშიც არ იყო.

— აბა, გამოძვერი კარადიდან! — მხიარულად შევძახე, თან ვფიქრობდი: „რაღა მოისურვა ჩემი გათამამება?“

კარადშიც არ აღმოჩნდა.

— აბა, გვეო ცულუტობა, — რბილად წარმოვთქვი და ანტრესოლი გამოვალე. — გამოძვერი, თეატრში გვაგვიანდება.

ის ანტრესოლშიც არ იყო.

დაგხედე საათს.

„უცნაურია, — გამიელვა თავში, — რა მალე გასულა ორი საათი“.

თეატრში უკვე დაგვაგვიანდა.

ცოტათი ავღელდი: „რა სისულელეა ბოლოს და ბოლოს? რა დამალობანას თამაში დამიწყო?“

გამოვალე მაკვივარი. არ არის. თუმცა როგორ მოთავსდებოდა იქ?!

სარეცხი ქვაბის ხუფს წავკარი ფეხი, არ არის. ალღევა მოუსკენრობაში გადაიხარდა. სად არის ბოლოს და ბოლოს?..

ვეცი აფთიაქს სარკის ზემოთ: იქნებ, პირამიდონისთვის შეძვრა და იქვე ჩაეძინა?...

რა თქმა უნდა, არ იყო.

საოცარია, შეჭამანდი ისევ ცხელია, როგორც ორი საათის უკან. საათს დავხედე და თვალებს არ დავუჭერე! ღამის სამის ნახევარი!.. არა! ეს შეუძლებელია! ვეცი ტელეფონს. ჩემი საათი ჩამორჩებოდა კიდევ სამის ნახევარი კი არა, ხუთის ნახევარი აღმოჩნდა!

ხომ სულ ახლახან დაგბრუნდი! შეჭამანდიც კი არ გაცივებულა!

ყველა ყუთი გადაიქეცე. გადავაქოთე რაფაზე მდგარი ყვავილები, მას ძალიან უყვარდა ყვავილები...

არცთუ სახუმაროდ ავღელდი.

იქნებ რამე შეემთხვა? მაგრამ რა?

სანამ დედამისის ნომერს ვკრეფდი, უკვე გარიყრავდა.

„მირე რა, დრო ასე რომ გარბის, მაგრამ შეჭამანდი რატომ არ ცივდება?“ — ვფიქრობდი მე.

დედასთან არ აღმოჩნდა.

დავრეკე მის მეგობართან.

— ის ჩემთან ბოლოს თხუთმეტ დეკემბერს იყო, ჩემი დაბადების დღეზე, — მითხრა მან.

— ესე იგი გუშინ?!

— შენ რა, ავად ხარ? დეკემბერში! ახლა კი ივლისია!

— მითხრა მეგობარმა.

გავიხედე ფანჯარაში. მზე სასწაულად აცხენებდა, ბალახი მიუქ-მომწვანოდ ბიბინებდა, თერმომეტრი 29 გრადუსს უჩვენებდა.

„ნამდვილად რღაცა მოხდა!“ — გული გადამიქანდა.

აქანკალებული ხელებით მორგის ნომრის აკრეფა დავიწყე...

ყურმილი ხელიდან გამივარდა და შეჭამანდიან მათლაფაში ჩავარდა. შეფიქრე ხახვში მეცა და დამთუთქა.

აბაზანაში გაგვარდი, ცივი წყალი შევისხი სახეზე.

ვიმშრალედი, თან თვალი სარკისკენ გამიქეცა. ნუთუ ეს მე ვარ?! სარკიდან დაბერებული, შესუქებული სახე მიყურებდა, ხოლო მეჩხერი თმის თავის ქალა მოჩანდა. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა ყოფილიყო, ეს მე ვიყავი.

საფოსტო ხვრელში გაზეთი გამოჩნდა. იმწამსვე თვალი გადავაიღე და ელდა მეცა! ნუთუ

რაც ის არ არის, ამდენმა დრომ განვლო?!

და აკლავ დაიწყე რეკა მის დედასთან, მეგობრებთან მხეწილიცაში...

სოკოს შეჭამანდი კი ისევ ცხელი იყო. თითქოს ეს-ესაა ქურდიდან დადმოეღოთ. პური არ დაობდა.

არაქანიც არ დამეყავდა...

და ცხარედ ავტირდი.

ამ უსასოო სიმარტლვის გამო ვიგონებდი ყველაფერ კარგსა და ცუდს, რაც მასთან მაკავშირებდა.

— რა გატირებს? — მომესმა მისი ხმა.

— ან რატომ არ ჰამ? შეჭამანდი გაცივდება.

— შენ? — შევყვირე მე. — სად იყავი ამდენ ხანს?

— არსადაც არ წაესულვარ. სულ შინ ვიყავი, — თქვა მან.

— მაგრამ...

— მე სულ შინ ვიყავი. უბრალოდ აღარ მიყვარხარ. ამიტომ ვერ მხედავდი. ეს ყოველთვის ასეა ხოლმე.

— ეს... მართალია? — ძლივს ამოვღერლე.

— კი, ამაში არავინ არ არის დამნაშავე.

— შენ უბრალოდ მუდამ მეტად თავდაჯერებული იყავი.

— შეჭამანდი რაღაზე არ ცივდებოდა?

— განუწყვეტლივ გაცხლებდი. ერთი მეორეს არ ეხება.

და უცებ მივხვდი, რომ ეს სიმართლეა.

აი მაშინ, გავიქანე, შევასკვდი ჩაღვლს და დავრჩი ასე ჩარჩოში, მიშტერებული სამყაროს, გაოგნებული, ჩამქრალი თვალებით.

ახლა ჩვენს ბინაში სხვები ცხოვრობენ, რადგან ის მალე გადავიდა. ამ ხალხს ჩემი სურათი მოეწონათ და დატოვეს.

ავეცი სხვანაირად დავგეს. და შპალიერიც სხვა გააქრეს. სამზარეულოშიც ყველაფერი შეცვლილია.

თარგმან სულხან ჯორჯაძელმა.

## დედის სიზმარი

ომის შემდეგ მოვევლინა ის ქვეყანას და ამიტომაც მშობლებმა შესაფერისი სახელიც შეუტრჩიეს — „დარია“

დარიას ბავშვობა ომის ჭრილობების მოშუშებაში იზრდებოდა. თვლა დაიწყო და ისწავლა მამის სხეულში დარჩენილი ყუმბარის ნამსხვრევებზე.

ო, როგორ ძალიან უნდოდა დარიას, ის მაგარი უცხო სხეული სათითაოდ ამოეკრიბა მამის ორგანიზმიდან.

ახლა, როცა თვითონ იყო

ხუთი შვილის დედა, სულ ზეცას შეპყურებდა ვედრებით — მშვიდობა ყოფილიყო ქვეყნად.

საზრუნავს რა გამოუღევდა დიდი ოჯახის დედას: დაბანდა, დააპურებდა, დააძინებდა ბავშვებს. მერე სხვა საქმეებსაც მოიღევდა და დაქანცული გვიან იძინებდა. საზრუნავი ძილშიაც არ ელეოდა და მართლაც საოცარი სიზმარი ნახა ერთხელ დარიამ:

— თავის შვილებთან ერთად მიდის დარია, ირგვლივ საოცარი სილამაზეა. კლდოვანი თუ მწვანით დახუნძლული მთები, ანკარა მდინარეები, ხილ-კენკრით სავსე ტყეები, მეცხვარეები ცხვრებით თუ მეფუტკრეები მოაგარაკე

ფუტკრებით. ვინ და რა არ ხვდება გზაზე. დარია კი მიდის და მიდის წინ — გზა ნაცნობია, უახლოვდებიან დიდ ტბას. აქ ხომ არაერთხელ ჰყოლია შვილები, მაგრამ ტბა სადღაა? მის მაგივრად ვეებერთელა მთაა აღმართული, მთაა ნამდვილად, მაგრამ უჩვეულო. თავის ირგვლივ ყველა მთა დაუჩრდილავს ბუმბერაზობით. ახლოს მიდის დედა და ხედავს საოცრებას — კეთილი ადამიანების ნებას ტბაში ჩაუძირავს კაცობრიობის მომსპობი ყოველგვარი იარაღი: გადაღუნული ზარბაზნის ლულები, დავრეხილი ხიშტები, ტანკები, ყუმბარები თუ ჯოჯონების სხვა იარაღები ერთმანეთს საუკუნოდ შედუღაბებული, მზის


სხივებით გაკაშკაშებული, ამირიდან კეთილ მთად ქცეული — დგას ამაყად, გარინდული, ბოროტზე გამარჯვებული და მის ბჭეებში გამალებით იკეთებენ ბუდეებს მტრუდები, მერცხლები და არწივები. მათ მხიარულ ჟივილხივილში ამკარად გათგონა დედა დარიამ — ასეთი მთა ქვეყნისელების ოთხ კონტინენტში კიდევ ვნახეთო.

სიმძიმეჩადირული ტბიდან გამოსულ ანკარა ნაკადულს ხტუნვა-ხტუნვით მოჰყვებიან ბედნიერი ბავშვები. ისინი გაუქვალავენ მას სავალ გზას! დემერთო ძლიერო, აუხდინე დედა დარიას ეს სასწაული.


მეომან ქუჩარა



14 მთავარი პრემია




ნოდარ ადიშვილი




გიორგი გუბლია




მაგალი თოლუა




ტაგუ მებურიშვილი



ზურაბ ნაყოფია



გულნათ ტორაძე



თენგიზ ჩალაური



იორამ ქემერტელიძე



ნოდარ ჯალალონია



გივი ჯახუა

„დროშის“ სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით ჟურნალ „დროშის“ პრემიით აღინიშნა 1984 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შემდეგი ნაწარმოებები: ნოდარ ადიშვილის ლირიკული ლექსები (№ 6); გიორგი გუბლიას ლირიკული ლექსები (№ 1); მაგალი თოლუას თარგმანი — ნიჰამი განჯელის „სიმართლის ბალადა“ (№ 10); ტაგუ მებურიშვილის ლექსები (№ 12); ზურაბ ნაყოფიას მხატვრული ნარკვევი „ჭლოუს პატარძალი“

და პუბლიცისტური წერილები „გახარული გულები“, „უკანდასახევი გზები“, „მშრომელი კაცის სახელი“ (№ 2, № 4, № 10); ხელოვნებათმცოდნე გულბათ ტორაძის წერილი „სახელოვანი მუსიკალური საგვარეულო“ (№ 4); იორამ ქემერტელიძის ლირიკული ლექსები (№ 2); თენგიზ ჩალაურის მოთხრობა „მოხუცი და ბიჭი“ (№ 1); ნოდარ ჯალალონიას ლექსები (№ 9); გივი ჯახუას მხატვრული ნარკვევი „მეფოლადის ერთი დღე“ (№ 2).

საგულისხმო, სახსრისო

პოლიციამ ვერაფერი გააწყობ

ფეხბურთის მატჩს, რომელიც ლუქსემბურგის და ინგლისის გუნდებს შორის გაიმართა, დიდი ბრიტანეთიდან ლუქსემბურგში ჩასული ორი ათასი გულშემატკივარი დაესწრო. მატჩი ინგლისელებმა მოიგეს — 4:0.

ორი ათასი გახარებული გულშემატკივარი ყუინით მოედო ქუჩებს. მათ დაღწევის საცხოვრებელი სახლების მიწები, შეამტვრიეს და გააძრცვეს სასურსათო მაღაზიები, სვე მეს გამვლელებს, გაიტაცეს მსუბუქი ავტომანქანები...

პოლიციამ ვერაფერი გააწყობ ინგლისიდან ჩასულ „სტუმრებთან“.

მიყენებული ზარალი რამდენიმე მილიონ ფრანკად შეფასდა.

რკინა — მოძროს ფასად

ფრანგი უან კარდა მილიონერი გახდა... რკინის გაყიდვით.

მან თითქმის მუქთად შეიძინა რკინის ნაწილები, რომლებიც ეიფელის კოშკიდან რემონტის დროს ჩამოხსნეს.

შეძენილი ჯართი უან კარდამ 22 ათას ნაწილად დაჭრა და თითოეულ ნაწილს სათანადო დოკუმენტი დაურთო.

სიძველეთა მოყვარულებმა რკინის ყოველი ნაწილი ათას ფრანკად შეიძინეს.

100 საათზე მეტი

ბავარიაში (გფრ) რვა ქალმა ერთდროულად დაამყარა... ბოძზე ჯდომის მსოფლიო რეკორდი.

მიწაში საგანგებოდ ჩასობილ სამმეტრიან ბოძებზე 50 სანტიმეტრი სიგრძისა და 40 სანტიმეტრი სიგანის ხის ფირფიტები დაამარგეს.

„ლამაზთა სქესის“ უამრავი წარმომადგენლიდან მხოლოდ რვა ქალმა შეძლო ამ ბოძებზე 100 საათზე მეტ ხანს მჯდარიყო.

ახალი მსოფლიო რეკორდი წარდგენილია „გინესის რეკორდების წიგნში“ შესატანად.

ახალი „რაკორდსმენები“

„გინესის რეკორდების წიგნში“ კიდევ ორი ახალი მსოფლიო რეკორდი ჩაიწერა.

ინგლისელმა პიტერ დაუდესმელმა 22 წუთსა და 27 წამში შესანსლა 60 ბუტერბროდი, ერთი გველთევზა, რამდენიმე ძეხვი და ზედ ოთხი კათხა ლუდი დააყოლა.

მეორე რეკორდი დაამყარეს ამერიკელმა სტუდენტებმა პატრიცია ჰონენმა და პრედ სპეისმა. ისინი რამდენიმე დღე... კოცნაობდნენ.

როგორ მოვიძებთ?

ამერიკულმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ამას წინათ თავის პარიზელ კორესპონდენტებს დაავალა, უან-პოლ სარტრისთვის დაეკეთათ ფრანგ სოციოლოგ რაიმონ არონზე სტატიის დაწერა.

რედაქციის დავალების შესრულება შეუძლებელი იყო: ფილოსოფოსი უან პოლ სარტრი 1980 წელს გარდაიცვალა.

იფიქრეს, იფიქრეს და პარიზის საკორესპონდენტო პუნქტის თანამშრომლებმა ასეთი პასუხი გაგზავნეს ამერიკაში:

თქვენი დავალების წარმატებით

შესრულებასთან ერთად, ჩვენ შეგვიძლია დავუკვეთოთ და „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქციას დაუყოვნებლივ გამოვუგზავნოთ დე გოლის კომენტარები საფრანგეთის თანამედროვე მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ძნელია, მაგრამ ალბათ შევძლებთ, მოგაწოდოთ მაოძე-დუნის შეხედულებები დღევანდელ ჩინეთზე და გარდაცვლილი ჯონ უეინის აზრი რეიგანზე. როგორ მოვიქცეთ? ახე მთავრდება ეს წერილი.

ახალი პროფესია

დასავლეთ გერმანული ჟურნალი „კვიკი“ იუწყება, რომ ცნობილი კინომსახიობები სშირად უწევენ რეჟისორებს იხეთ ფირმებს, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ ხელოვნებასთან.

მაგალითად, ელიზაბეტ ტილორმა ორი მილიონი დოლარი ჰონორარი მიიღო იმაში, რომ სასოგადოების წინაშე გამოდიოდა და რეჟისორებს უწევდა ერთ-ერთი ფირმის ბეწვის მანტოებს.

## „დასმარება არ გაიცემა“

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრებ პენსიონერ ჰანს ჰენშელაიტს საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და მარცხენა ფეხი მოკვეთეს.

საავადმყოფოდან გაწერილმა პენსიონერმა შინ მიიღო ქვითარი, რომელიც იუწყებოდა, რომ ჰანს ჰენშელაიტს სასაფლაოს ადმინისტრაციისათვის დაუყოვნებლივ უნდა გადაეხადა 225 მარკა.

ეს თანხა ხეობარ პენსიონერს თურმე მოკვეთილი ფეხის დამარხვისთვის შეაწერეს.

შემფთობებულმა ჰანს ჰენშელაიტმა შემწეობისათვის მიმართა საავადმყოფოს დამზღვევ სალაროს. პასუხი ლაკონური იყო: „სხეულის დამარხული ნაწილებისთვის დასმარება არ გაიცემა“.

## ორი ჩემოდანი

ინგლისის პოლიციამ, ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, აღმოაჩინა დამნაშავეთა ბანდა, რომელიც მატარებლებს ძარცვავდა.

დადგინდა, რომ მატარებლის საბარგო ვაგონში ბანდის ერთ-ერთი წევრი ოფიციალურად აბარებდა ორ ჩემოდანს. ერთი ჩემოდანი ყოველთვის ცარიელი იყო. მეორე ვეებერთელა ჩემოდანში ეხებდა-

დის აპარატით აღჭურვილი ბანდის ყველაზე დაბალი წევრი იყო მოუყუელი.

მატარებლის დანიშნულ ადგილზე ჩასვლისთანავე „მგზავრი“ საბარგო ვაგონიდან იბარებდა ორ ჩემოდანს. ცარიელი ჩემოდანი, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის პირთამდე იყო დაქვევტილი.

## მკითხავი „პარსკვლავები“

პარიზში გამოსცეს ცნობარი, რომელშიც აღნუსხულია საფრანგეთში მცხოვრები ყველაზე ცნობილი 250 მკითხავი.

აქვეა მითითებული თითოეული მკითხავის ბინის მისამართი, ტელეფონის ნომერი, კლიენტთა მიღების დღეები და საათები.

ცნობარის შემდგენლებს არც მკითხავთა გასამრჯელო თანხის ოდენობა გასამრჩენიათ.

სამი მკითხავი, როგორც ცნობარი ირწმუნება, ყველაზე სარწმუნოა. ეს „ვარსკვლავები“, ცხადია, კლიენტებისაგან გაცილებით უფრო დიდ გასამრჯელოს იღებენ.

## „სონატა ფორტაპიანოსა და ოთხფეხეხისათვის“

კარნეგი-პოლის სააქტო დარბაზში ამას წინათ უამრავი ხალხი შეიკრიბა. კონცერტს მართავდა ცნობილი პიანისტი კერკი ნაროკა.

როდენ დიდი იყო დამსწრეთა გაოცება, როცა კონფერანსიემ გამოაცხადა, რომ პიანისტი შეასრულებს „სონატას ფორტეპიანოსა და ოთხფეხებისათვის“.

კონცერტმა აღმავლობით ჩაიარა. განვიწყვლი პიანისტი თვალბმბილულული უკრავდა, თავაწყული ორი ძალი კი მუსიკის ტაქტს კუდების ქიციწით აყოლებდა ყეფას.

## ორი რეკორდი

ფრანგმა დენი კურვუაზიმ ამას წინათ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იგი მსუბუქი მანქანის საჭესთან იჯდა 85 საათი, 6 წუთი და 53 წამი.

მანამდე მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა კანადელ ანდრე ტიბოს, რომელიც 84 საათი და 36 წუთი მართავდა მანქანის საჭეს.

ბელგიელი ვალტერ არფეი ამას წინათ მსოფლიოს რეკორდსმენთა წიგწში შეიტანეს.

ხანგრძლივი წვრთნისა და რამდენიმე ცდის შემდეგ მან შეძლო კბილების დასმარებით ადგილიდან დაქძრა... მატარებელი.

სამგზავრო მატარებლის შემადგენლობა 11 ვაგონისგან შედგებოდა და 154 ტონას იწონიდა.


ეს წონა ორი ტონით სჭარბობს მანამდე დამყარებული მსოფლიო რეკორდის წონას.

# კოსკოზი

შვეულად: 1. მხატვრულად გაფორმებული რამდენიმე გვერდიანი წიგნი; 2. ზომის ერთეულის ზუსტი ნიმუში; 4. მეცნიერება, რომელიც ცხოველთა სამყაროს სწავლობს; 5. ძველი ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლები; 6. ძალიან იშვიათი რამ; 9. ერთ-ერთი კონტინენტი; 12. სახალხო მომღერალი უკრაინაში; 13. მრავალწლიანი ბალახოვანი ტროპიკული მცენარე; 14. პოლონური ეროვნული ცეკვა; 15. ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო; 20. განუხორციელებელი იმედი, ოცნება; 21. სამგზავრო მატარებელი, რომელიც დადის დიდი სისწრაფით; 22. ლექსის, სიმღერის სტროფი; 25. ტბა აღმოსავლეთ ციმბირში; 26. გრძელ დისტანციაზე მობრუნალი, მოცურავე; 28. ყაზახი პოეტი, განმანათლებელი.

თარბულად: 3. კოსკის ძველებური საათი, რომელიც რეკავს და რამე მუსიკას ასრულებს; 7. მსუბუქი კომედია, რომელშიც სახმდერო კუმდეტები ჩართული; 8. ქიმიური ელემენტი; 10. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 11. სმენის გასამღიერებელი ხელსაწყო; 16. უძველესი აკლდამა, აგებული ლოდებისა და ფილებისაგან; 17. იტალიელი ფიზიკოსი, ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი; 18. ხეობა საქართველოში; 19. რამეთი თავდავიწყებით გატაცება; 23. ერთწლიანი ზეთოვანი მცენარე, პარკოსანთა ოჯახიდან; 24. ზედა და ქვედა კბილების შეფარდება მოკუმულ მდგომარეობაში; 27. მსუბუქი უანრის ე. წ. „მსუბუქი ფორმის“ თეატრი; 28. მიწის საზომი ერთეული ინგლისში; 29. მექანიკის ნაწილი, რომელიც სხეულთა წონასწორობის პირობებს სწავლობს; 30. გრამატიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს შესიტყვების აგებულებას; 31. საკოლექციო მარკების ჩასაწყობი ალბომი.

შეაღგინა ვაშა ვახტანგაძემ.



ბარმაკანის პირველ და მეომთე გვერდებზე: „თბილისური ზამთარი“. მხატვარი თინეკი სამსონაძე.

აკრამტორი ცინანა სიპინაპა მონტაპი ნანული დანელიანი

გადაეცა წარმოებას 4. I. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31. 01. 85. უე 05042. ქადაღდის ზომა 70x1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,8 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 47.700. შეკვ. 19. ფასი 35 კაპ. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რეაბკციაში შემოსული მასალა აბტორს არ უბრუნდება.



